პროლეტარეებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

გაზეთი გამოდის 1920 წლის 3 ივნისიდან

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს ორგანო

КОМУНИСТИ — ОРГАН ЦК КП ГРУЗИИ, ВЕРХОВНОГО СОВЕТА ГРУЗИНСКОЙ ССР И СОВЕТА МИНИСТРОВ ГРУЗИНСКОЙ ССР

1981 წელი ხუთშაბათი 1 ოქტომბერი № 226 (18168) ფასი 2 კაპ.

შრომითს ვახტზე

ქუთაისი

მეთერთმეტე ხუთწლედის დავალებათა განხორციელებისათვის გაჩაღებულ სოციალისტურ შეჯიბრებაში ყველა ტექნიკურ-ეკონომიკური მაჩვენებლის მიხედვით დიდ წარმატებებს აღწევს ელექტრომექანიკური ქარხნის კოლექტივი. 23 სექტემბრისათვის აქ უკვე შეასრულეს მიმდინარე წლის 9 თვის საწარმოო გეგმა. კონსტიტუციის დღის აღსანიშნავ სოციალისტურ შეჯიბრებაში განსაკუთრებით დაწინაურდა ელექტროტვირთმზიდების საამქრო, რომელსაც სათავეში ა. გოგიხვანიძე უდგას. (საკ. კორ.).

ცხინვალი

მექანიკური ქარხნის კოლექტივში თავდადებული შრომაა გაჩაღებული.

ახლა კოლექტივის უპირველესი საზრუნავი მაღალი ხარისხის პროდუქციის გამოშვებაა. მთელი გულისყური ამისადმია მიმართული. ქარხნის ინჟინერ-ტექნიკოსები, მუშები მონდომებით მუშაობდნენ, რათა მათს პროდუქციას — ხეიფებსა და რკინის კარადებს — ხახელმწიფო ხარისხის ნიშანი მინიჭებოდა. აკი გაიხარეს, როცა შეტყობეს, რომ ორივე სახეობის პროდუქციას უმაღლესი კატეგორიის ნიშანი მიენიჭა. (საკ. კორ.)

ხაშური

მეთერთმეტე ხუთწლედის პირველ წელს კარგ შედეგებს აღწევენ ხაფეიქრო-ხაგალანტერეო ფაბრიკის მშრომელები.

ამ დღეებში დაამონტაჟეს ხაშრობ-ხასტაბილიზაციო გამაგანიერებელი მანქანა, რომლის მწარმოებლობა წუთში 35 მეტრი ხამი ხაფარდე ქხოვილია. „ახალგაზრდავდება“ ლენტსაქსოვი ხაამქროც, სადაც ძველი, მორალურად და ფიზიკურად გაცვეთილი დაზგები ახალმა ტექნიკამ შეცვალა. უკვე მწყობრში ჩადგა 55 საწნაჭი და საქსოვი ახალი მანქანა-დანადგარი. (საკ. კორ.).

ბუშინ, 30 სექტემბერს თბილისში გაიმართა პიონერული მუშაკების რესპუბლიკური კრება. იმვა კიდევ ერთი მესანიშნავი და ფრიად სასარგებლო ტრადიცია

...ოგენ პიონერული მუშაკები

...ლევანდელი პიონერები, ოქ...ბრელები XXI საუკუნის მოლი მოქალაქენი, კომუნისტები ...ნ. და იმაზე, თუ როგორები ...ბრდებიან ისინი, დამოკიდებ...ა არის, თუ როგორი იქნება ...ვრება მომავალში“, — საქ...ელოს კომპარტიის XXVI ყრი...ზე გამოთქმულმა ამ აზრმა ...ზვარა 30 სექტემბერს თბი...ში გამართული პიონერული ...კების რესპუბლიკური კრების ...ბ...ვიე. მოზარდი თაობის ...ერალმძღვანელები, პედაგო..., დამრიგებლები რესპუბლი...ყველა ქალაქიდან და რაიონ...ჩამოვიდნენ თბილისში, რათა ...ბილათ სკკპ XXVI ყრილობისა ...საქართველოს კომპარტიის ...I ყრილობის მოთხოვნათა შე...ისად ნორჩი ლენინელების ...ერ-პოლიტიკურ, შრომითსა ...ზნეობრივ აღზრდაში კომკავ...ელი და პიონერული ორგანო...ების როლის მნიშვნელოვანი ...ლების ამოცანები.

...ის წესრიგის ესოდენ პასუხ...ბი თავად გულისხმობს არა მა...ა სადღესასწაულო ანგარიშს, ...ედ აგრეთვე მილწეულის ღრმა ...ოს, კრიტიკულ გაანრებას. ...ბასა მომავალი მოქალაქეე...XXI საუკუნის კომუნისტების ...ოდის შესახებ კანონზომიერად ...შიოება ფიქრს თვით პიო...ელმძღვანელების, ყველა პი...ული მუშაკის მომზადების, ...ა პროფესიის ავტორიტეტის ...ბეგ, იმის შესახებ, თუ რა ეხ...ება ან რა უშლის ხელს მათ ...ობაში. და ასეთი სჯა-ბაასი ...ართა.

...ზეიმოდ არის მორთული სა...ველოს სახელმწიფო ფილარ...ის დიდი დარბაზი. ალისფრად ...ერებს ტრანსპარანტები. ერთ...მათგანზე წარწერილია ჩვენი ...ბიისა და სახელმწიფოს ხელ...ანელის, ახალგაზრდობის დი...მეგობრისა და ბრძენი ...ოგებლის ამხანაგ ლ. ი. ბრეჟ...ს სიტყვები: „ბავშვების აღზ...ბა ჩვენს ქვეყანაში მთელი საბ...ა ხალხის ღვიძლი საქმე გახ...

...ბაზში არიან პიონერხელმძ...ელები, სკოლისგარეშე დაწე...ებათა ხელმძღვანელები, ...ავშირული მუშაკები, პიონე...ი ორგანიზაციის საქალაქო ...რაიონული საბჭოების თავმ...მარნენი, საცხოვრებელი ადგი...ის მიხედვით მუშაობის ორ...ზატორები, სახალხო განათ...ის ორგანოების, სამინისტრო...ა და უწყებების, საწარმოე...ა და ორგანიზაციების ხელმძ...ანელი მუშაკები. მათთან ერთად ...ნ პარტიისა და კომკავშირის, ...ნერული მოძრაობის ვეტერა...ნ, დიდი სამამულო ომისა და ...ომის გმირები.

...ბის პრეზიდიუმში ადგილს ...ებენ ამხანაგები ე. შევარდნა...ძე, ბ. ბილაშვილი, გ. ენუქიძე, თ. ...ოგშვილი, ო. ჩერქეზია, ი. ...ორჯონიკიძე, სრულიად საკავშირო ალკკ ცენტრალური კომიტეტის მდივანი, ვ. ი. ლენინის სახელობის პიონერული ორგანიზაციის ცენტრალური საბჭოს თავმჯდომარე ა. ფეფულოვა, სსრ კავშირის განათლების მინისტრის მოადგილე ფ. შტიკალი, სრულიად საკავშირო ალკკ ცენტრალური კომიტეტის სექტორის გამგე ვ. კულაევი, რესპუბლიკის ხელმძღვანელი პარტიული, საბჭოთა, პროფკავშირული და კომკავშირული მუშაკები.

დამსწრენი ერთსულოვნად, უდიდესი აღმავლობით ირჩევენ საპატიო პრეზიდიუმში სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივნის, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარის ამხანაგ ლეონიდ ილიას ძე ბრეჟნევის მეთაურობით.

საზეიმო მარშის თანხლებით დარბაზში შემოაქვთ საქართველოს პიონერული ორგანიზაციის წითელი დროშა და საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის სამახსოვრო წითელი დროშა.

მოხსენება გააკეთა საქართველოს ალკკ ცენტრალური კომიტეტის პირველმა მდივანმა ი. ორჯონიკიძემ.

მოხსენების გამო გამართულ კამათში მონაწილეობდნენ საქართველოს ალკკ აფხაზეთის საოლქო კომიტეტის პირველი მდივანი ს. ბაღაფში, საქართველოს ალკკ თბილისის საქალაქო კომიტეტის მეორე მდივანი ი. თევდორაძე, კომკავშირის სიღნაღის რაიკომის პირველი მდივანი ც. ნადაშვილი, ბ. ძნელაძის სახელობის პიონერთა ბოსტნეულის ბაღის დირექტორი, საქართველოს პიონერული ორგანიზაციის საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე თ. ღონენტი, ჩოხატაურის მე-2 საშუალო სკოლის პედაგოგი, კლასის დამრიგებელი ნ. შარაშიძე, უფროსი პიონერხელმძღვანელები: ქუთაისის მე-14 საშუალო სკოლისა — ბ. რობაქიძე, ახმეტის რაიონის სოფელ ქვემო ალვანის საშუალო სკოლისა — თ. თორღვაიძე, ცხინვალის რაიონის დმენისის საშუალო სკოლისა — მ. ჩოჩიევა, გურის ბამბეულის საწარმოო გაერთიანების მრთველთა კომკავშირულ-ახალგაზრდული ბრიგადის ბრიგადირი, პედაგოგთა რაზმის წევრი ნ. გელდიაშვილი, რუსთავის შინაგან საქმეთა სამმართველოს ქალაქო განყოფილების არასრულწლოვანებთან მუშაობის ინსპექტორი ს. გუშარაშვილი, საქართველოს სსრ განათლების მინისტრი ო. ქინქლაძე, მრავალშვილიანი დედა, თბილისის გლდანის რაიონის მე-4 მიკრორაიონის სახლმართველობის პედაგოგ-ორგანიზატორი თ. მეტრეველი-ღუდუშაური, ლენტების რაიონული საავადმყოფოს ექიმი-პედიატრი ლ. ლიპარტელიანი, საქართველოს პროფსაბჭოს მდივანი ზ. კვაჭაძე, ზუგდიდის რაიონის სოფელ კახათის კოლმეურნეობის თავმჯდომარე ჯ. გუგუნჩია, პიონერბანაკთა რესპუბლიკური სკოლის დირექტორი ა. ჩიტაია, ჟურნალ „პიონერის“ რედაქტორი ბ. შელია, მწერალი გ. ჭეჭინაძე, სპორტსაზოგადოება „ქარიშხალის“ კრივის სპეციალიზებული სკოლის დირექტორი სსრ კავშირის სპორტის დამსახურებული ოსტატი დ. კვაჭაძე, ქობულეთის რაიონის ბობოყვათის ჩაის ფაბრიკის დირექტორი სოციალისტური შრომის გმირი ნ. ჩელებაძე, თბილისის ა. ს. პუშკინის სახელობის სახელმწიფო პედაგოგიური ინსტიტუტის სტუდენტი ზ. კვინტარაძე, საქართველოს კომკავშირის პრემიის ლაურეატი სასაზღვრო საგუშაგოს უფროსის მოადგილე ნ. ბრაგინი.

ორატორებმა ხაზი გაუსვეს, რომ პიონერული მუშაობა რთული, მაგრამ ამავე დროს საპატიო საქმეა. იმათგან, ვინც ამ მუშაობას ეწევა, იგი მოითხოვს ნიჭსა და გულისხმიერებას, ბავშვებთან კონტაქტის გამონახვის უნარს. აღინიშნა, რომ რესპუბლიკაში მორალურ-ფსიქოლოგიური კლიმატის გაჯანსაღებისათვის მიმდინარე უკომპრომისო ბრძოლა იმის უმნიშვნელოვანესი დადებითი ფაქტორია, რომ ამაღლდეს მოზარდი თაობის აღსაზრდელი ინსტიტუტების მუშაობის ქმედითობა, დინერგოს პიონერებისა და მოსწავლეების პოლიტიკური და შრომითი წრთობის ახალი საინტერესო ფორმები. ითქვა ისიც, რომ ცნობილი ლოზუნგი „ყველაფერი საუკეთესო — ბავშვებს“ სულ უფრო მეტად ხდება მომავალ მოქალაქეთა კომუნისტური აღზრდის ამოცანათა გადაწყვეტაში საზოგადოებრიობის აქტიური მონაწილეობის პრინციპი. მარტო ბოლო ხუთი წლის მანძილზე რესპუბლიკაში აშენდა 341 ახალი სასკოლო შენობა, შეიქმნა ორი ათასამდე ახალი სასწავლო კაბინეტი, 415 პიონერული ოთახი, რეკონსტრუირებულია სკოლებისა და სკოლისგარეშე დაწესებულებების 125 შენობა. დიდებული პიონერული კომპლექსი „ცისკარი“ შეიქმნა ცხინვალში. ახლანდელი კრების წინ თბილისში საძირკველი ჩაეყარა პიონერულ ქალაქ „მზიურს“ — ახალი ტიპის ბავშვთა გამაჯანსაღებელ-აღმზრდელობითს კომპლექსს, რომელმაც ხელი უნდა შეუწყოს სულიერად და ფიზიკურად ჯანმრთელი, ჰარმონიულად განვითარებული ადამიანის აღზრდას.

მნიშვნელოვანი პრაქტიკული ნაბიჯები გადაიდგა ყმაწვილთა კომსომოლის მოსამზადებელი მატერიალურ-ტექნიკური და მეთოდიკური ბაზის განსამტიცებლად. აშენდა და საექსპლოატაციოდ გადაეცა პიონერული მუშაკთა რესპუბლიკური სკოლის კეთილმოწყობილი შენობა. კომკავშირულ ქალაქ ბორის ძნელაძეში მუშაობა დაიწყო პიონერული აქტივის სწავლების რესპუბლიკურმა ბანაკმა.

როგორც კრებაზე აღინიშნა, კომკავშირის კომიტეტები სულ უფრო აქტიურად შეფობენ სასკოლო პიონერულ ორგანიზაციებს. განვლილი სამი წლის მანძილზე რესპუბლიკაში შეიქმნა 218 სასწავლო პიონერული საამქრო, აშენდა 286 უმარტივესი ტიპის სპორტული მოედანი, შეიქმნა 66 მოზარდთა კლუბი ინტერესების მიხედვით, რომლებიც აქტიურად უწყობენ ხელს მოსწავლეთა პროფესიული ორიენტაციის, მათი ფიზიკური და ზნეობრივი აღზრდის, თავისუფალი დროის გონივრული ორგანიზაციის კონკრეტული საკითხების გადაწყვეტას.

სათანადოდ შეაფასეს რა მოპოვებული წარმატებები, კრების მონაწილეებმა ამასთან გულახდილად, პრინციპულად იმსჯელეს ბავშვებისა და მოზარდების იდეურ-პოლიტიკური, შრომითი და ზნეობრივი აღზრდის საქმეში ჯერ კიდევ არსებულ ნაკლოვანებებსა და ხარვეზებზე. განსაზღვრა კონკრეტული ღონისძიებანი, რომლებიც მიზნად ისახავს კომკავშირული და პიონერული ორგანიზაციების მუშაობის სრულყოფას, მისი ეფექტიანობის ამაღლებას ნორჩი ლენინელების აღზრდაში, მათთვის კომუნისტური მსოფლმხედველობისა და პრაქტიკული ცხოვრების ჩვევების ჩანერგვაში, სწავლის, შრომისა და სამშობლოს დაცვისათვის მათს მომზადებაში.

კრებაზე სიტყვა წარმოქვა სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრობის კანდიდატმა, საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველმა მდივანმა ე. შევარდნაძემ.

განხილულ საკითხზე კრებამ მიიღო დადგენილება.

კრების მონაწილეებმა მიიღეს მიმართვა რესპუბლიკის საზოგადოებრიობისადმი.

ტაშის გრიალში მიიღეს წერილი საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივნის, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარის ამხანაგ ლ. ი. ბრეჟნევისადმი. წერილში კრების მონაწილეებმა პირობა დადეს, რომ მთელ ძალ-ღონეს, ცოდნისა და ენერგიას შეალევენ ხვალინდელი დღის ღირსეულ მოქალაქეთა, ლენინის დიადი პარტიისადმი უსაზღვროდ ერთგულ ადამიანთა აღზრდის საქმეს.

პიონერული მუშაკების რესპუბლიკური კრებას მიესალმა საქართველოს პიონერია.

კრების მონაწილეებისათვის გამართა საღღესასწაულო პიონერული კონცერტი. (საქინფორმი).

გადალახულია ორასი ათასიანი მიჯნა!

800.000 ტონა ყურძნისათვის!

რთველი-81 კახეთის რაიონების ზვრებში მთელი ძალით გაჩაღდა, ქართლისა და იმერეთის რაიონებში კი ზოგიერთმა საზოგადოებრივმა მეურნეობამ დაიწყო ყურძნის კრეფა.

როგორც ამ ცხრილიდან ჩანს, რესპუბლიკაში 30 სექტემბრისათვის მოკრეფილი იყო 218.108 ტონა ყურძენი, აქედან კახეთის რაიონების წილად 197.754 ტონა მოდის. შარშან 30 სექტემბრისათვის საქართველოში მოკრეფილი იყო 448.420 ტონა ყურძენი, ანუ წლევანდელთან შედარებით 230.312 ტონით მეტი.

რა თქმა უნდა, ჩამორჩენის მიზეზი ძირითადად ობიექტურია, — მთელ ზაფხულს ზშირად წვიმდა და ყურძენი გვიან დამწიფდა. რთველი, შარშანდელთან შედარებით, თითქმის ოცი-ოცდაზუთი დღის დაგვიანებით დაიწყო. ყოველივე ეს იმას როდი ნიშნავს, რომ წლევანდელ რთველში ყველაფერი რიგზე იყოს და ჩამორჩენა კანონზომიერია. არა, ეს ასე არ არის. მთელი რიგი რაიონების საზოგადოებრივ მეურნეობებში ყურძენს ნელი ტემპით კრეფენ. და ეს მაშინ, როცა კახეთის რაიონებში ყოველდღე მართლაც სართვლო ამინდებია.

რთველში ჩამორჩენა იმის ბრალიც არის, რომ ზოგან ყოველდღიურად ყურძნის საკრეფად ორგანიზებულად ვერ გაჰყავთ ყველა, ვისაც შრომა შეუძლია.

გაერთიანება „სამტრესტის“ ცნობით, ყოველდღიურად რესპუბლიკაში 24.000 ტონა ყურძენი იკრიფება, აქედან კახეთის რაიონებში — 21.544 ტონა. ლაგოდეხის რაიონში დღეში საშუალოდ ათას ტონა ყურძენს კრეფენ. თუ ასე გაგრძელდა, დარჩენილი 13 ათას ტონამდე ყურძნის მოკრეფას, აქ, ეტყობა, ორ კვირაზე მეტი დრო დასჭირდება. კრეფის ტემპი დამაკმაყოფილებელი არ არის აგრეთვე წითელწყაროსა და სიღნაღის რაიონებში. წითელწყაროს რაიონში დღეში 1.600 ტონაზე ცოტა მეტს კრეფენ, სიღნაღისაში კი 2.500 ტონაზე მეტს. კრეფის ტემპი უნდა დაიჩქარონ, რა თქმა უნდა, თელავის, ყვარლის, გურჯაანის, საგარეჯოს რაიონებმა. გურჯაანელები, რომლებიც 155 ათასი ტონა ყურძნისათვის იბრძვიან, დღეში 8 ათას ტონამდე ყურძენს კრეფენ, თელაველები — 4.000 ტონას, ყვარლელები — 3.700 ტონას. ეს თითქოს ურიგო არ არის, მაგრამ არც სანაქებოა. ამ ტემპით კრეფა ისედაც გვიან დაწყებულ რთველს გააჭიანურებს და დიდ დანაკარგებს გამოიწვევს.

მეგენახეობის რაიონების პარტიულმა, საბჭოთა, სამეურნეო ორგანოებმა, საზოგადოებრივ მეურნეობათა ხელმძღვანელებმა ყოველი ღონე უნდა იხმარონ, რომ რთველი მოკლე დროში და უდანაკარგოდ დამთავრდეს.

ყველანი რთველში, მეგობრებო!

ყურძნის დამზადების 1981 წლის გეგმა-ვალდებულების შესრულება (ტონობით)

მეღვინეობის სამრეწველო, გაერთიანების „სამტრესტის“ 30 სექტემბრის ცნობა

რაიონები	გეგმა-ვალდებულება	შესრულება
გურჯაანის	155.000	76.765
თელავის	32.000	28.342
ყვარლის	75.000	25.594
სიღნაღის	60.000	37.219
წითელწყაროს	60.000	26.308
საგარეჯოს	33.000	1.088
ლაგოდეხის	20.000	7.138
მარნეულის	23.000	12.563
გარდაბნის	8.700	1.940
ბოლნისის	15.000	4.953
ზესტაფონის	35.000	357
თერჯოლის	25.000	260
წყალტუბოს	5.000	281
სულ რესპუბლიკაში	800.000	218.108
შარშან ამ დროისათვის იყო		448.420

დიდი ხელოვნება

სსრ კავშირის მცირე თეატრის მსახიობებსა და რეჟისორებს ჯილდოები გადაეცათ

ერთი თვის განმავლობაში თბილისელები ეცნობოდნენ ქვეყნის ერთ-ერთი საუკეთესო თეატრალური კოლექტივის — სსრ კავშირის მცირე თეატრის სახელმოხვეჭილი დასის დიდ ხელოვნებას. სტუმრებმა მაყურებლებს უჩვენეს საინტერესო რეპერტუარი, რომელიც აღძრავს ადამიანის ყოფიერების ისეთ მნიშვნელოვან ზნეობრივ პრობლემებს, როგორიც არის პატიოსნება, მოვალეობა, მორალური სისპეტაკე. თბილისის თეატრების სცენებზე ნაჩვენებმა ყველა სპექტაკლმა თეატრალებს შესაძლებლობა მისცა დარწმუნებულიყვნენ მსახიობთა შესანიშნავი ვარსკვლავედის მაღალ პროფესიონალიზმში.

პრესის რეცენზიებში ხაზგასმით აღინიშნა, რომ დასი ამკვიდრებს სპატიო ადგილებს — ხელოვნების საშუალებებით ელაპარაკოს მაყურებელს თანამედროვეობის საჭირბოროტო საკითხებზე. ის, რაც თბილისელებმა ნახეს, მცირე ნაწილია მრავალფეროვანი რეპერტუარისა, თვალნათლივ რომ გამოხატავს კოლექტივის მხატვრულ და მოქალაქეობრივ მისწრაფებებს, კოლექტივისა, რომლის ცხოვრების ნორმა გახდა თანამედროვე თემის ძიება, მისი ცოცხალი, მგზნებარე ხორცშესხმა.

30 სექტემბერს, სსრ კავშირის მცირე თეატრის გასტროლების დამთავრების დღეს, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმში მცირე თეატრის შემოქმედებითს მოღვაწეთა დიდ ჯგუფს გადაეცა რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელები.

სცენის ოსტატებს მიმართა საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარემ პ. გილაშვილმა. მან გულთბილად და გულითადად მიულოცა მათ დიდი წარმატება თბილისში. ჩვენ სიხარულით გზდებოდით, აღნიშნა მან, დღეს კი სინანულით გეთხოვებით, რადგან თქვენს შემოქმედებასთან შეხვედრა მუდამ დღესასწაულია, რომელთანაც განშორება ძრ გინდა.

ამხანაგმა პ. გილაშვილმა ჯილდოები გადასცა სახელგანთქმული თეატრის მსახიობებსა და რეჟისორებს.

დაჯილდოებულთა სახელით მადლობა გადაიხადა სსრ კავშირის სახალხო არტისტმა, სოციალისტური შრომის გმირმა ე. გოგოლევამ.

— დიდი მოღვაწეობით ველოდით თბილისელებთან — დიდი თეატრალური ტრადიციების ქალაქის მაყურებელთან შეხვედრას,— თქვა მან. ეს მღელვარება იმითაც იყო გამოწვეული, რომ უკანასკნელი წლების მანძილზე საქართველოს თეატრალურმა ხელოვნებამ უმაგალითო მწვერვალებს /მიაღწია, დაიმსახურა აღიარება საერთაშორისო სცენაზე. ქართველი მაყურებელი განებივრებული, მრავალსმნახველი მაყურებელია. და მის წინაშე გამოსვლა სპატიოც არის და პასუხსაგებიც. მცირე თეატრის მთელი შემოქმედებითი კოლექტივის სახელით მინდა მადლობა მოვახსენო მაყურებელს მხურვალე მიღებისათვის, რესპუბლიკის მთავრობას — ჩვენი შრომის ესოდენ დიდი დაფასებისათვის.

მოსკოვის თეატრალური ხელოვნების მოღვაწეებს დიდი წარმატება მიუსურვა საქართველოს სსრ კულტურის მინისტრმა ო. თაქთაქიშვილმა.

ჯილდოების გადაცემას დაესწრო საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარის მოადგილე ვ. სირაძე.

(საქინფორმი).

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულება

„საქართველოს სსრ დამსახურებული პროპაგანდისტის“

საპატიო წოდების დაწესების შესახებ

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი ადგენს:

1. დაწესდეს საპატიო წოდება „საქართველოს სსრ დამსახურებული პროპაგანდისტი“.

2. საპატიო წოდება „საქართველოს სსრ დამსახურებული პროპაგანდისტი“ მიენიჭებათ პროპაგანდისტებს, კონსულტანტებს, პოლიტგანათლების სახლებისა და კაბინეტების მუშაკებს, პარტიული კომიტეტებისა და საზოგადოება „ცოდნის“ ლექტორებს, რომლებმაც პარტიული პროპაგანდის, მარქსისტულ-ლენინური და ეკონომიკური განათლების სისტემაში ნაყოფიერად იმუშავეს არანაკლებ 20 წლისა, მნიშვნელოვანი დამსახურება მიუძღვით სკკპ პოლიტიკის, ცოდნისა და პრაქტიკული გამოცდილების პროპაგანდის ეფექტიანობის ამაღლებაში.

3. ამასთან დაკავშირებით:

„საქართველოს სსრ საპატიო წოდებათა შესახებ დებულების“ I განყოფილების 22-ე პუნქტის შემდეგ დაემატოს „22ა. საქართველოს სსრ დამსახურებული პროპაგანდისტი“, ხოლო II განყოფილების 22-ე პუნქტის შემდეგ დაემატოს „22ა. საქართველოს სსრ დამსახურებული პროპაგანდისტი — პროპაგანდისტებს, კონსულტანტებს, პოლიტგანათლების სახლებისა და კაბინეტების მუშაკებს, პარტიული კომიტეტებისა და საზოგადოება „ცოდნის“ ლექტორებს, რომლებმაც პარტიული პროპაგანდის, მარქსისტულ-ლენინური და ეკონომიკური განათლების სისტემაში ნაყოფიერად იმუშავეს არანაკლებ 20 წლისა, მნიშვნელოვანი დამსახურება მიუძღვით სკკპ პოლიტიკის, ცოდნისა და პრაქტიკული გამოცდილების პროპაგანდის ეფექტიანობის ამაღლებაში“.

მეორე განყოფილებაში 27-ე პუნქტიდან ამოღებულ იქნეს სიტყვები: „საუკეთესო ლექტორებს და პროპაგანდისტებს“.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე პ. გილაშვილი.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი თ. ლაშქარაშვილი.

თბილისი, 1981 წლის 30 სექტემბერი.

თბილისის სალოკომოტივო დეპოს პარტიული კომიტეტის მდივანი ნ. საკაშვილი მითითებასა და რჩევა-დარიგებას აძლევს პროპაგანდისტებს ახალი სასწავლო წლის დაწყების წინ.

ს. კილაძის ფოტო.

...ეუგილეს გილოცავთ, ...ქუთაისის ავტოქარხანავ!

...ქუთაისი ს. ორჯონიკიძის სა...ობის შრომის წითელი დრო...ორდენოსან საავტომობილო ...ანას 30 წელი შეუსრულდა. ...ათასობით აქ გამოშვებული ...ხეთი“ მუშაობს ჩვენი ქვეყ...ყველა კუთხეში. რიგშია ახ...თაობის „კოლხეთი“ — დი...ის ძრავიანი 11 ტონიანი ავ...ანი, რომელიც უკვე ამ ...წლედში ჩადგება სოფლის ...ომელთა სამსახურში. ამიტომ ...ქროების არსებული კორპუ...ს გვერდით იგება ახალი: სა...ეგბტო და ადმინისტრაციული კორპუსები, ხარაჩოებშია ობიექტები, სადაც მიმდინარეობს რეკონსტრუქცია. ყველაფერი კეთდება იმისათვის, რომ 1984 წელს შეუდგენენ ახალი „კოლხეთის“ სერიულ წარმოებას.

შრომითი წარმატებით აღინიშნეს ქუთაისელმა ავტომობილმშენებლებმა მშობლიური საწარმოს 30 წლის თავი. საიუბილეო წლის მეორე კვარტალის მაჩვენებლების მიხედვით მათ ოცდამეთხუთმეტეჯერ მოიპოვეს სსრ კავშირის საავტომობილო მრეწველობის სამინისტროსა და დარგობრივი პროფკავშირის კომიტეტის გარდამავალი წითელი დროშა.

ყველა ავტომობილი, რომლებსაც დღეს ქუთაისის ავტოქარხანა უშვებს, აღნიშნულია ხარისხის სახელმწიფო ნიშნით. იღებენ ზომებს ცალკეულ ნაკლოვანებათა აღმოსაფხვრელად.

ქარხნის იუბილეს მიეძღვნა საზეიმო კრება. კრება გახსნა საწარმოს პარტიული კომიტეტის მდივანმა თ. კაპანაძემ.

შეკრებილთ ერთსულოვნად აირჩიეს საპატიო პრეზიდიუმში სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივნის, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარის ამხანაგ ლ. ი. ბრეჟნევის მეთაურობით.

საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის, რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს სახელით ავტოქარხნის კოლექტივს 30-ე წლისთავი მიულოცა საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მდივანმა ზ. ჩხეიძემ.

მოხსენება „ქუთაისის საავტომობილო ქარხანა 30 წლისაა“ გააკეთა საწარმოს გენერალურმა დირექტორმა ვ. ხარებავამ.

კრების მონაწილეებმა მიიღეს წერილი საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტისადმი. (საქინფორმი).

...საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პროპაგანდისა და აგიტაციის განყოფილება, საქართველოს კომპარტიის თბილისის საქალაქო კომიტეტი აწყობენ საზოგადოებრივ-პოლიტიკურ კითხვებს თემაზე: „80-იანი წლები: გეგმები და პერსპექტივები სკკპ XXVI ყრილობის გადაწყვეტილებათა და თბილისში გამართულ საიუბილეო ზეიმზე ამხანაგ ლ. ი. ბრეჟნევის გამოსვლათა მიხედვით“.

...ოხსენებას თემაზე: „პარტიის გეგმები ხალხის გეგმებია“ გა...კეთებს საქართველოს კომპარტიის თბილისის საქალაქო კომიტეტის პირველი მდივანი ამხ. თ. ნ. მენთეშაშვილი.

...კითხვები მოეწყობა 1981 წლის 2 ოქტომბერს, 17 საათზე, საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პოლიტგანათლების რესპუბლიკური სახლის სხდომათა დარბაზში (პლეხანოვის პროსპექტი, 61).

...ღლის ფესრიგშია ასორტიმენტი

გორში მუშაობა დაამთავრა ამერკავკასიის რესპუბლიკების მსუბუქი მრეწველობის საწარმოთა სამხატვრო-ტექნიკური საბჭოების წარმომადგენელთა თათბირმა, რომლის ორგანიზატორები იყვნენ სსრ კავშირისა და საქართველოს სსრ მსუბუქი მრეწველობის სამინისტროები.

თათბირზე მოისმინეს მოხსენებები: საქართველოს სსრ მსუბუქი მრეწველობის მინისტრის მოადგილის მ. თენეიშვილისა — „ბამბის ქსოვილების წარმოების გადიდების პერსპექტივები მეთერთმეტე ხუთწლედში“, სსრ კავშირის ვაჭრობის სამინისტროს — უფროსი საქონელმცოდნის ნ. მორგუნოვისა — „სავაჭრო ორგანიზაციების მოთხოვნები ბამბის ქსოვილების ასორტიმენტისადმი“, ასორტიმენტის საკავშირო ინსტიტუტის უფროსი მეცნიერი თანამშრომლის ტექნიკის მეცნიერებათა კანდიდატის ნ. ჟელეზნოვისა — „ბამბის ქსოვილების გამოყენების თანამედროვე ხერხები“ და სხვ.

...ეუგილეს გილოცავთ, ...ქუთაისის ავტოქარხანავ!

...ბილისი, 1981 წლის 30 სექტემბერი.

პოლიტიკური და ეკონომიკური განათლება—მასებს!

კოლიტიკური განათლების რესპუბლიკური სახლი ის შტაბია, საიდანაც პოლიტიკური და ეკონომიკური ცოდნის დაუფლებისათვის ლაშქრობის მონაწილეებს უწევენ ხელმძღვანელობას და მეთოდიკურ დახმარებას, აძლევენ რჩევა-დარიგებას, ამარაგებენ თვალსაჩინოებითა და თანამედროვე ტექნიკური აღჭურვილობით. ჩვენი კორესპონდენტი შეხვდა საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პროპაგანდისა და აგიტაციის განყოფილების გამგის მოადგილეს, პოლიტიკური განათლების რესპუბლიკური სახლის გამგეს დ. კიკნაძეს და სთხოვა კასუხი გაეცა რამდენიმე კითხვაზე.

— სკკპ XXVI ყრილობაზე განსაკუთრებული ყურადღება დაეთმო მშრომელთა პოლიტიკური და ეკონომიკური განათლების საკითხებს. ამატომ, ცხადია, წელს ბევრი სიახლე და საინტერესო მომენტი იქნება პოლიტიკურ და ეკონომიკურ სწავლებაში. მაინც რა ძირითად ამოცანებს სახავს ახალი სასწავლო წელი?

— პარტიული განათლების სისტემაში წელს ჩვენი მთავარი საზრუნავი იქნება უმთავრესად იმ ნაკლოვანებების გამოსწორება, რომლებიც აღინიშნა სკკპ XXVI ყრილობაზე და შემდეგ გაანალიზებულია სკკპ ცენტრალური კომიტეტის დადგენილებაში „სკკპ XXVI ყრილობის გადაწყვეტილებათა შესაბამისად პარტიული სწავლების შემდგომი სრულყოფის შესახებ“.

თუ კონკრეტულად შევეხებით ამ ნაკლოვანებებს, უპირველეს ყოვლისა უნდა დავასახელოთ ფორმალიზმი. პარტიული ორგანიზაციები ხემინარების, პოლიტსკოლებისა და წრეების დაკომპლექტებისას არ ითვალისწინებდნენ კომუნისტთა გაზრდილ პოლიტიკურ და ზოგადი განათლების დონეს, მათს ინფორმირებულობას, მოთხოვნილებებსა და ინტერესებს. პროპაგანდისტებიც და მსმენელებიც მეცადინეობაზე მოდიოდნენ ვალის მოხდის მიზნით, ამატომ, ბუნებრივია, სწავლებაც უინტერესოდ მიმდინარეობდა. ახალ სასწავლო წელს ეს ხარვეზები უეჭველად უნდა აღმოიფხვრას.

— ამისათვის უპირველესად რა ღონისძიებები უნდა განხორციელდეს?

— უპირველეს ყოვლისა, აუცილებელია, რომ პარტიული განათლების ქსელი მიზნობრივად დაკომპლექტდეს და შეირჩეს უნარიანი და გამოცდილი პროპაგანდისტებით. როცა მიზნობრივი დაკომპლექტების აუცილებლობაზე ვლაპარაკობთ, მხედველობაში გვაქვს ის, რომ ხშირად მსმენელებს აერთიანებდნენ ისეთ სკოლებსა და სემინარებში და ასწავლიდნენ ისეთ მასალას, რომლის გაგებაც ან უჭირდათ ან უკვე დიდი ხნის ნასწავლი ჰქონდათ. არ იყო დაცული თანამიმდევრობისა და მემკვიდრეობითობის პრინციპი, როცა ახალი ცოდნა ეყრდნობა ძველ ცოდნას და ასე იზრდება მომზადების დონე. ცხადია, თუ ეს პრინციპი არ იქნა დაცული, მაშინ მასალა მსმენელისათვის მიუწვდომელია, ან ანბანურ ჭეშმარიტებას წარმოადგენს და მისთვის ახალი და საინტერესო არ არის. ორივე შემთხვევაში დაკარგულია მეცადინეობისთვის გამოყოფილი დრო. თითოეულმა მსმენელმა თანამიმდევრულად უნდა გაიაროს ეს საფეხურები. ცხადია, ვისაც მარქსისტულ-ლენინური თეორიის ელემენტარული კურსი არ გაუვლია, ვერ ჩასწვდება სიღრმეს დიდი ლენინის ისეთი გენიალური ნაშრომისა, როგორიც არის „მატერიალიზმი და ემპირიოკრიტიციზმი“.

ამავე დროს, თუ ყოველწლიურად ერთსა და ამავე მასალას ასწავლი, ესეც დროის დაკარგვაა. ყველაფერი ეს კი აქამდე ძლერ იყო ფეხმოკიდებული პარტიული განათლების ქსელში. ამიტომ ახალ სასწავლო წელს მიზანშეწონილად არის მიჩნეული, რომ პარტიულმა ორგანიზაციებმა განსაკუთრებული ყურადღება მიაქციონ სწორად ზემოაღნიშნულ მემკვიდრეობითობისა და თანამიმდევრობის პრინციპს. თუ ეს ჯერ ზოგან არ მომზდარა, კიდევ არის დრო იმისათვის, რომ შეეცალოთ კორექტივი პოლიტსკოლების, სემინარების, უნივერსიტეტების დაკომპლექტებაში. შეიძლება დაგვიანდეს, მაგრამ ეს აუცილებლად უნდა გაკეთდეს.

ეს არის ერთ-ერთი აუცილებელი წანამძღვარი ახალ სასწავლო წელს წარმატების მოპოვებისათვის.

მეორე აუცილებელ პირობად მიმაჩნია პროპაგანდისტების სწორად შერჩევა, მათი თეორიული და მეთოდიკური სწავლება. სკკპ XXVI ყრილობაზე ამხანაგ ლ. ი. ბრეჟნევის მოხსენებაში და შემდეგ ამ ყრილობის გადაწყვეტილებების საფუძველზე პარტიული ლიტიკურ-აღმზრდელობითი, ორგანიზატორული და სამეურნეო ამოცანების ერთიანობას. ეს საჭიროა იმიტომ, რომ აღნიშნული ფაქტორები ერთობლივად მოქმედებენ ჩვენ წინაშე დასმული ამოცანების გადაწყვეტის ბედზე. ესე იგი არა მარტო სამეურნეო ამოცანების გადაწყვეტა საჭიროებს იდეოლოგიურ უზრუნველყოფას, არამედ თვით იდეოლოგიური მოღვაწეობაც მოითხოვს სამეურნეო და ორგანიზატორულ უზრუნველყოფას.

— ცოდნის რწმენად და მოქმედების პრინციპად გადაქცევისათვის რა არის აუცილებელი?

—როგორც ამხანაგმა ლ. ი. ბრეჟნევმა აღნიშნა სკკპ XXV ყრილობაზე, მასების პოლიტიკური აღზრდის საზომი, რა თქა უნდა, კონკრეტული საქმეებია. კომუნისტური იდეურობა — ეს არის ცოდნის, რწმენისა და პრაქტიკული საქმიანობის შენადნობი.

იდეურ-პოლიტიკური ზემოქმედება ადამიანზე მასზე იგივე გარემოს ზემოქმედებაა — მხოლოდ ცნობიერებაში გარდატეხილი, ესე იგი ეს არის სპეციფიური გარემო, რომლითაც პიროვნების შეგნებაზე ვახდენთ ზემოქმედებას.

იდეურმა ზემოქმედებამ რომ სასურველი ეფექტი მოგვცეს, საჭიროა განხორციელდეს ოთხი ძირითადი პირობა.

ვფიქრობთ, სწორედ ეს ოთხი პრინციპი უზრუნველყოფს ცოდნის, რწმენისა და მოქმედების ერთიანობას. ეს საჭიროა იმიტომ, რომ ზემონაგანზატორული ფაქტორები ერთობლივად მოქმედებენ ჩვენ წინაშე დასმული ამოცანების გადაწყვეტის ბედზე. ესე იგი არა მარტო სამეურნეო ამოცანების გადაწყვეტა საჭიროებს იდეოლოგიურ უზრუნველყოფას, არამედ ეს ორივე ერთ-ერთი მთავარი ადგილი დაიკავა პროპაგანდისტთა მომზადების საკითხებმა. საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტმა ამ ძირითადად მოიკავა განვითარებული სოციალიზმის აქტუალურ პრობლემატიკას. ზონალურ კურსებზე მთლიანად მოწვეული იყო 1800-ზე მეტი პროპაგანდისტი. კურსების მუშაობაში აქტიურად მონაწილეობდნენ არა მარტო საზოგადოებრივ მეცნიერებათა გამოჩენილი სპეციალისტები, არამედ რესპუბლიკის პარტიული, საბჭოთა და სამეურნეო მუშაკებიც.

ზაფხულის პერიოდში საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პოლიტიკური განათლების რესპუბლიკურ სახლში სამ ხაკადად მოეწყო პროპაგანდისტთა ერთკვირიანი გადასამზადებელი კურსები ტექნიკური საშუალებების გამოყენების თეორიასა და პრაქტიკაში. გარდა ამისა, რესპუბლიკის პარტიულმა კომიტეტებმა სექტემბერში მოაწყვეს პროპაგანდისტთა ორკვირიანი სწავლება. არსებული მონაცემებით, სულ გადამზადებული კურსები გაიარა 6.400 პროპაგანდისტმა.

პროპაგანდისტთა წახალისების მიზნით შემოღებულია საპატიო სიგელი და სამახსოვრო medaლი. დღეს კი პრესაში ქვეყნდება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულება „საქართველოს სსრ დამსახურებული პროპაგანდისტის“ საპატიო წოდების დაწესების შესახებ.

— სწავლების აქტიური ფორმებიდან ახლა რომელს მიექცევა განსაკუთრებული ყურადღება?

— ძირითადად ეს ფორმები იქნება: სწავლების პრობლემური მეთოდი, მსმენელთა საზოგადოებრივ-პოლიტიკური პრაქტიკა, მოხსენებებისა და რეფერატების განხილვა, დისპუტების, დისკუსიების, კონფერენციების, გასაუბრების, ერთიანი პოლიტდღეების მოწყობა, ხელმძღვანელ მუშაკთა უფრო ფართო მონაწილეობა იდეოლოგიურ, პოლიტამზრდელობიოს მუშაობაში, საზოგადოებრივ-პოლიტიკური კლუბების გონივრულად გამოყენება.

დასასრულ მინდა გამოვთქვა რწმენა, რომ სასწავლო წელი ორგანიზებულად, მაღალდეონ დონეზე დაიწყება. როგორც იტყვიან, კარგი დასაწყისი საქმის ნახევარიაო, და თუ ეს ასეა, მაშინ პირველი მეცადინეობები მთელი წლის მანძილზე ნაყოფიერი შრომისა და სწავლის საწინდარი უნდა გახდეს.

ROცა ზემოქმედებას შეგნებაზე ახდენ

ხელმძღვანელიც, პროპაგანდისტიც

ტყიბულის ქვანახშირის მრეწველობაში სამუშაოდ გიორგი წაქაძე თბილისის პოლიტექნიკური ინსტიტუტის დამთავრებისთანავე მოვიდა. ეს იყო ამ ოცი-ოდე წლის წინათ. ამ ხნის მანძილზე უნარიანმა სამთოელმა განვლო გზა რიგითი სამთო ინჟინრიდან რესპუბლიკის ერთ-ერთი დიდი — ლენინის სახელობის შახტის დირექტორამდე.

ოთხი წლის წინათ გ. წაქაძე ყველაზე ჩამორჩენილი შახტის დირექტორად დანიშნეს. საექსპლოატაციო უბნების დიდი უმრავლესობა ვერ ასრულებდა ქვანახშირის ამოღების სახელმწიფო დავალებას. შახტში სისტემატურად ირღვეოდა შრომის დისციპლინა, ხშირი იყო სამუშაოს გაცდენისა და დაგვიანების შემთხვევები.

ახალი დირექტორი, როგორც ხელმძღვანელი, მოვალე იყო შეექმნა მტკიცე შრომითი კოლექტივი. მან კარგად იცოდა, რომ არ ქმარა იყო მარტო კარგი ხელმძღვანელი, მცოდნე სპეციალისტი, კარგი აღმზრდელიც, დამრიგებელიც. უნარიანი პროპაგანდისტიც უნდა იყო. ამიტომ გ. წაქაძემ შახტში მისვლისთანავე მიზნად დაისახა ჩასწვდომოდა თითოეული მეშახტის სულს, შეეტყო, თუ რა უჭირდა, რა ულხინდა მუშაკაცს.

და როცა შახტის პარტბიუროს მდივანმა ნ. კინლაძემ დირექტორს შესთავაზა — ეხელმძღვანელა ახლად შექმნილი კომუნისტური შრომის სკოლისათვის, რომელშიც მეშახტეები იყვნენ გაერთიანებული, მან სიამოვნებით იკისრა პროპაგანდისტობა — ეს ერთ-ერთი სერიოზული და პასუხსაგები იდეოლოგიური დავალება.

პროპაგანდისტული საქმიანობა გ. წაქაძემ პირადი შემოქმედებითი გეგმის შედგენით დაიწყო. ყოველი მეცადინეობისათვის უდიდესი გულმოდგინებით იმზადებოდა. გადასაცემ თეორიულ მასალას მჭიდროდ უკავშირებდა პრაქტიკას, შახტის ცხოვრებას. თითოეულ მსმენელს ეხმარებოდა გეგმა-ვალდებულების შემუშავებასა და რეალიზაციაში. ყოველივე ამან ნაყოფი გამოიღო. პროპაგანდისტმა შეძლო ზემოქმედება მოეხდინა მსმენელების შრომითი და პოლიტიკური აქტიურობის ამაღლებაზე. სულ მალე სკოლის ყველა მსმენელი როგორც შრომაში, ისე სწავლაშიც მოწინავე გახდა.

გ. წაქაძის, როგორც ხელმძღვანელისა და პროპაგანდისტის, გამოცდილება მალე გახდა პარტიის ტყიბულის საქალაქო კომიტეტის ბიუროს მსჯელობის საგანი. ერთ-ერთ სხდომაზე მოისმინეს მისი ანგარიში: „ხელმძღვანელის როლი კოლექტივის წევრთა იდეურ-პოლიტიკური და შრომით აღზრდაში“. პროპაგანდისტის მუშაობის გამოცდილება მოიწონეს და ქალაქის ზონის პარტიულ ორგანიზაციებს რჩევა მისცეს ფართოდ დაენერგათ ის თავიანთ მუშაობაში.

სამეურნეო და იდეურ-აღმზრდელობითის საქმიანობაში მოპოვებულმა წარმატებამ, დაგროვილმა გამოცდილებამ და მასების დიდმა ნდობამ განსაზღვრა ის ფაქტი, რომ გასული წლის აგვისტოში გ. წაქაძე რესპუბლიკის ყველაზე მძლავრი — ლენინის სახელობის შახტის დირექტორად დაიწინაურეს. მალე საწარმომ ჩამორჩენა დაძლია და მოწინავეთა რიგებში ჩადგა.

გ. წაქაძე, ახალ სამეურნეო პოსტზე დანიშვნისთანავე შეუდგა პროპაგანდისტულ მოღვაწეობას. იგი გასულ სასწავლო წელს მოწინავეთა გამოცდილებისა და ტექნიკური პროგრესის სემინარს ხელმძღვანელობდა. ამ სემინარში ცოდნას იმაღლებდა შახტის ოცდაოთხი ხელმძღვანელი მუშაკი. წლეულს ეს სემინარი სკკპ ეკონომიკური პოლიტიკის საკითხების შემსწავლელ სკოლად გადაკეთდა. გადახალისდა მსმენელთა შემადგენლობა, მასში უფრო მომზადებული კომუნისტები ჩაებნენ.

აღნიშნული სკოლა პირნათლად ხვდება პირველ მეცადინეობას.

ტრადიცია: ხელმძღვანელი — პროპაგანდისტად, რომელიც მტკიცედ დამკვიდრდა ქალაქის პოლიტიკური და ეკონომიკური განათლების სისტემაში, კვლავ გრძელდება.

ვ. ციბერკაძე,
„კომუნისტის“ საკ. კორ.

ახალი სასწავლო წელი პარტიული განათლების სისტემაში თვისებრივად განსხვავდება წინა სასწავლო წლებისაგან. სკკპ XXVI ყრილობამ პროპაგანდისტებისაგან მოითხოვა ცოდნისა და მომზადების დონის ამაღლებისათვის განუწყვეტელი ზრუნვა, მსმენელებთან სიახლოვე და პარტიის დიად წინასწარდასახულობათა განხორციელებისათვის ერთობლივი ბრძოლა. ამის საფუძველზე ახალი სასწავლო წლის წინ მეტად თვალსაჩინო გახდა პროპაგანდისტთა და მსმენელთა მჭიდრო კონტაქტი.

სურათზე: თბილისის აბრეშუმის საწარმოო გაერთიანების აბრეშუმის ფაბრიკის მოხამზადებელი საამქროს პროპაგანდისტი ზ. ქიტიაშვილი პირველი მეცადინეობის წინ აცნობს მსმენელებს სასწავლო წლის გეგმებს.

ს. კილაძის ფოტო.

უკას უნებს სადღეისო მოთხოვნებს

ᲠᲔᲞᲝᲠᲢᲐᲟᲘ

ᲞᲐᲠᲢᲘᲣᲚᲘ

ᲙᲐᲑᲘᲜᲔᲢᲘᲓᲐᲜ

შემოდგომაზე ფუსფუსია ყველგან. ყველას — დიდსა თუ პატარას თავისი საზრუნავი გასჩენია. ბინავდება მთელი წლის ნაკოფ-ნაამაგარი. ასეა თელავის რაიონშიც — ვაზისა და ღვინის საუფლოში. მოცეა არავის აქვს. ამ დღეებში, როგორც ყოველთვის, წინა რიგებში არიან იდეოლოგიის დარგის მუშაკები, შრომობენ ყველა უბანზე, მაგრამ საკუთარი საზრუნავიც დიდი აქვთ, იწყება ახალი სასწავლო წელი პარტიული განათლების ქსელში.

ამიტომაც არის, რომ პარტიის თელავის რაიკომის პოლიტიკური განათლების კაბინეტში დიდი ხალხმრავლობაა. პოლიტიკური განათლების კაბინეტს (გამგე ზ. მარკოზაშვილი) დროულად უზრუნია ქსელის დაკომპლექტებისათვის.

პოლიტიკური და ეკონომიკური განათლების სისტემაში გაერთიანებულია 3900 კომუნისტი და 4250 უპარტიო მსმენელი. აქ განსაკუთრებული ყურადღება აქვს დათმობილი ახალგაზრდა კომუნისტთა 4 სკოლას, რომლებიც შექმნილია ზონების მიხედვით: მასში გაერთიანებულია 120 ახალგაზრდა კომუნისტი. პროგრამა განსაკუთრებულია, და მის სწავლებაზე დასაქმებული არიან გამოცდილი პარტიული მუშაკები. მოდიან პროპაგანდისტები, ინდივიდუალური გეგმით მომუშავე კომუნისტები, მეთოდიკური რჩევა-დარიგებები პირველი მეცადინეობების ჩატარების თაობაზე.

მათ აქ მასპინძლობას უწევენ მუდმივმქმედი სემინარების ხელმძღვანელები, კონსულტანტები, რომელთა სამსახურშია პოლიტიკური განათლების კაბინეტის ბიბლიოთეკაში მოწყობილი მდიდრული გამოფენები, ბიბლიოთეკაში არსებული პოლიტიკური თუ მეთოდიკური ლიტერატურა.

აქ არიან პროპაგანდისტები: თელავის სახელმწიფო სანერგე მეურნეობის დირექტორი, სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა კანდიდატი ი. მესხეთრიშვილი, ნაფარეულის მევენახეობის საბჭოთა მეურნეობის დირექტორი ა. ალადაშვილი, ვანთის საშუალო სკოლის მასწავლებელი გ. აბულაძე, რუისპირის კოლმეურნეობის აგროგანყოფილების უფროსი ბ. თაგაური და სხვები. აქ არიან საზოგადოებრივ საწყისებზე არსებული პარტიული კაბინეტების გამგეები. ვთხოვთ რუისპირის კოლმეურნეობის პარტიულ კომიტეტთან შექმნილი სკოლის („ყაირა ფიანობა კომუნისტური თვისებაა“) პროპაგანდისტს ბ. თაგაურს გამოთქვას თავისი აზრი ახალი სასწავლო წლის დაწყების წინ.

— საბჭოთა ცხოვრებამ, — ამბობს იგი, — დაამტკიცა, რომ პარტიული განათლება ადამიანთა პოლიტიკური წრთობის სკოლაა. ასეთი სწავლება პარტიულ საქმიანობასთან ურთიერთობაში გზას გვიხსნის უფრო დიდი წარმატებებისაკენ. ჩვენი სკოლის პროგრამა პირდაპირ უპასუხებს სადღეისო მოთხოვნებს.

მინდა ვისარგებლო შემთხვევით და რაიონის პროპაგანდისტთა სახელით მივულოცო რესპუბლიკის ყველა პროპაგანდისტსა და მსმენელს ახალი სასწავლო წლის დაწყება და ვუსურვო შემდგომი წარმატებები.

თელაველები მომზადებულნი ხვდებიან ახალ სასწავლო წელს.

დ. გერგიშვილი,
„კომუნისტის“ საკ. კორ.

თანმიმდევრულად დ

მთელი სიმტკიცი

მალე ორი წელი შესრულდება ძას შემდეგ, რაც საქართველოს კომპარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა მიიღო დადგენილება „გარემოს დაცვის, საწარმოს მუშაკთა შრომისა და ყოფა-ცხოვრების საკითხებისადმი ზესტაფონის რაიონისა და ფეროშენადნობთა ქარხნის ხელმძღვანელობის უპასუხისმგებლო დამოკიდებულების შესახებ“.

ამ სახელმძღვანელო დადგენილებას უდიდესი მნიშვნელობა აქვს ჩვენი საწარმოს კომუნისტებისათვის, მთლიანად შრომითი კოლექტივისათვის. რა დადებითი ძვრები, სასიკეთო ცვლილებები მოხდა ჩვენს საწარმოში ამ დადგენილების მიღებიდან დღემდე განვლილ პერიოდში? რა გაკეთდა მისი მოთხოვნების ხორცშესხმისათვის, აღნიშნული ნაკლოვანებების გამოსწორებისათვის, კიდევ რა არის გასაკეთებელ-მოსაგვარებელი?

ამ და სხვა მნიშვნელოვან საკითხებზე სულ მალე იმსჯელებს პარტიის რაიკომის პლენუმი, რომლის მომზადებაში ჩაბმული არიან დარგობრივი უწყებები, შრომითი კოლექტივების წარმომადგენლები, პარტიული ორგანიზაციები, ცალკეული კომუნისტები. რაიონის კომუნისტთა ეს საქმიანი შეკრება, ცხადია, მოისმენს ჩვენი პარტიული კომიტეტის ანგარიშსაც გაწეული მუშაობის თაობაზე. მართლაც და, საინტერესოა რა გაკეთდა, რა იღონეს ქარხნის კომუნისტებმა ამ ორი წლის მანძილზე და, რაც მთავარია, როგორია მათი ერთობლივი გარჯის საბოლოო ნაყოფი?

თამამად შეიძლება ითქვას, რომ ამ მხრივ ბევრი რამ გაკეთდა რაშიც მნიშვნელოვანი წვლილი მიუძღვით ქარხნის კომუნისტებს, რომლებმაც ზემოაღნიშნული დადგენილების მოთხოვნათა სრულად განხორციელება, მდგომარეობის უსწრაფესი გამოსწორება თავიანთ უპირველეს მიზნად დაისახეს.

ცხადია, სიძნელეები და მტკივნეული საკითხები საკმაოდ იყო. მათგან განსაკუთრებულსა და მნიშვნელოვანს პარტიული კომიტეტის სხდომებზე განვიხილავდით და სათანადო ოპერატიულ ღონისძიებებსაც ვსახავდით. ყოველი სხდომა საფუძვლიანად მზადდებოდა. მაგალითად, 10 აპრილს პარტიული კომიტეტის სხდომაზე განვიხილეთ საკითხი „ფეროშენადნობთა ქარხნის თაობაზე საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის 1979 წლის 2 ოქტომბრის დადგენილების შესასრულებლად ძირითადი საამქროების პარტიულ ორგანიზაციებში კრებებსა და ბიუროს სხდომებზე მიღებული დადგენილებებისა და კრიტიკული შენიშვნების შესრულების მდგომარეობის შესახებ“.

ახლიხა ამ სამუშაოთა შემსრ... ბელ პასუხისმგებელ პირებს... ვრი საკითხი სწრაფად მოგ... ხოლო დანარჩენი უახლოეს... ში გამოსწორდება.

თვითკრიტიკულად უნდა ვი... რომ იდეალურად არც კ... ლური მომსახურების მხრივ... საქმე აწყობილი. ამის გამ... რად გვისაყვედურებდნენ... ლურგები. სწორედ ამიტომ... ხილეთ ეს საკითხი პარტ... კომიტეტის სხდომაზე. მდგ... ობა მართლაც არ იყო სახ... ლო. განსაკუთრებით ცუდი... მარეობაა კვალითის მეტლუ... ახალ დასახლებაში. აქაურ... ვრებლებს არ ჰყოფნით... ცუდად მუშაობს კანალიზაცი... საკეთებელია საცხოვრებელ... ნების სახურავები, ანტისანიტ... დასახლების ქუჩებში. ყოვ... ამას კი გულდამშვიდებით

თანმიმდევრულად დ

მთელი სიმტკიცი

ეს საკითხი მთელი სისრულით და სერიოზულობით მოამზადეს პარტიული კომიტეტის წევრებმა ე. წაქაძემ და ნ. მუმლაძემ. სწორედ ამიტომ იყო, რომ სხდომაზე როგორც სარკეში, ისე დავინახეთ მთელი გაწეული საქმიანობის აკარგი. ბევრი ნაკლი გამოვლინდა. ი თუნდაც ასეთი საკითხი: მართალია, ქარხანაში შეიქმნა საეფ... ტილაკი სამსახური, კაპიტალურად შეკეთდა № 1 საამქროს აირსაწმენდი მოწყობილობა, რამაც მნიშვნელოვნად შეამცირა ატმოსფეროს გაჭუჭყიანება, მაგრამ ეს არ ქმარა. დღეისათვის ქარხანაში ატმოსფეროს გაჭუჭყიანების 108 წყარო არსებობს, რომელთაგან მხოლოდ ნახევარზე ოდნავ მეტია აღჭურვილი აირსაწმენდი მოწყობილობით. ჯერჯერობით შეუსრულებელია სსრ კავშირის შავი მეტალურგიის მინისტრის 1980 წლის № 1149 ბრძანება, რომელიც № 4 საამქროს ღუმლების დახურვას ითვალისწინებდა. არცთუ იშვიათია შემთხვევები, როდესაც № 1 საამქროში მომუშავეთა უპასუხისმგებლობით 10-15 წუთის განმავლობაში გამორთულია ღუმელზე მომუშავე ფილტრები.

პარტიული კომიტეტის სხდომაზე ისიც ითქვა, რომ № 2 საამქროში კვლავ სერიოზულ ყურადღებას მოითხოვს მუშათა შრომის პირობების გაუმჯობესება, დაბალია წარმოების კულტურა.

განსაკუთრებით მკაცრი მსჯელობა გამოიწვია ახლად აგებულ № 5 საამქროში დასამთავრებელმა სამუშაოებმა. საკითხის განხილვის დროისათვის ჩაუბარებელი იყო საყოფაცხოვრებო მომსახურების კორპუსი, აბანო-გასახდელები, სასადილო. აირსაწმენდი მეურნეობა ჩამოსასხმელ მანქანასთან და ღუმლის ქურასთან უეფექტოდ მუშაობდა...

იმ პირუთვნელმა მსჯელობამ, პრინციპულმა, ზუსტმისამართიანმა კრიტიკამ, რაც ხელშესახებად ეგრძნობოდა № 1 საამქროს პარტიული ორგანიზაციის მდივნის ზ. ბუცხრიკიძის, № 2 საამქროს პარტიული ორგანიზაციის მდივნის ზ. ახვლედიანის, საამქროს უფროსების დ. გველესიანის, ლ. ბეგადის, კ. ქველიაშვილის, პროფკავშირის საქარხნო კომიტეტის თავმჯდომარის მოადგილის ჯ. სახეჩიძის და სხვათა გამოსვლებში, აგრეთვე პარტიული კომიტეტის მიერ განხორციელებულმა ღონისძიებებმა დადებითი გავლენა მოახდინა ამ სამუშაოთა შემსრ... ბელ პასუხისმგებელ პირებზე... ვრი საკითხი სწრაფად მოგ... ხოლო დანარჩენი უახლოეს... ში გამოსწორდება.

თვითკრიტიკულად უნდა ვი... რომ იდეალურად არც კ... ლური მომსახურების მხრივ... საქმე აწყობილი. ამის გამ... რად გვისაყვედურებდნენ... ლურგები. სწორედ ამიტომ... ხილეთ ეს საკითხი პარტ... კომიტეტის სხდომაზე. მდგ... ობა მართლაც არ იყო სახ... ლო. განსაკუთრებით ცუდი... მარეობაა კვალითის მეტლუ... ახალ დასახლებაში. აქაურ... ვრებლებს არ ჰყოფნით... ცუდად მუშაობს კანალიზაცი... საკეთებელია საცხოვრებელ... ნების სახურავები, ანტისანიტ... დასახლების ქუჩებში. ყოვ... ამას კი გულდამშვიდებით

ᲞᲐᲠᲢᲘᲣᲚᲘ ᲪᲮᲝᲕᲠᲝᲑᲘᲡ ᲞᲘᲠᲝᲕᲜᲘᲡ ᲨᲔᲡᲠᲣᲚᲔᲑᲐ

ასეთი მკაცრი გადაწყვეტილება

საქართველოს სსრ სატყეო მეურნეობის სამინისტროს კოლეგიის სხდომა

გაიმართა საქართველოს სსრ სატყეო მეურნეობის სამინისტროს კოლეგიის რიგგარეშე სხდომა, რომელზეც განიხილეს წიფოელწყაროს რაიონის ქაპუნის სამონადირეო მეურნეობაში (დირექტორი ჯ. ყოჩიაშვილი) მიწათსარგებლობის წესების უხეში დარღვევების საკითხი. კოლეგიის ვადაწყვეტილებით ყოჩიაშვილი მოხსნილია თანამდებობიდან. სხვა დასხვა სასჯელი დაედოთ სხვა პირებსაც.

მაგრამ, სანამ გიამბობდეთ, თუ რა მოხდა ქაპუნის მეურნეობაში, ერთმანეთ სიტყვით გაგაცნობთ სამინისტროს საქმიანობის ერთ-ერთ მხარეს.

ხორცი, თევზი, თაფლი, ხილი — აი ამ პროდუქციის არასრული ნუსხა, რომელსაც დღეს აწარმოებენ სისტემის დამხმარე მეურნეობებში. დიდი ხანია გავიდა ის დრო, როცა მიაჩნდათ, რომ ტყე მხოლოდ მერქნითია მდიდარი. ბევრ სატყეო მეურნეობაში რაციონალურად იყენებენ მიწის ყოველ ნაკვეთს, შექმნილია დამხმარე აგრარული „საამქროები“. აქ მოგვარებულია მრავალფეროვანი სოფლის მეურნეობის პროდუქციის წარმოება. მაგალითად, წელს მიიღებენ თითქმის 1000 ტონა ხორცს, დიდძალ სხვა კვების პროდუქტს. უკვე ახლა სამინისტროს სისტემის ზოგიერთი დამხმარე მეურნეობა შეიძლება გაუტოლდეს დიდ, მრავალდარგოვან ყოლმეურნეობასა თუ საბჭოთა მეურნეობას.

და ეს სამინისტროს სისტემის ეშრომელთა მხოლოდ პირველი ნაბიჯებია აქ შემუშავებული სასურსათო პროგრამის განხორციელების გზაზე. იგი ითვალისწინებს კვების პროდუქტების წარმოების მნიშვნელოვან ზრდას. მაგალითად, 1985 წლისათვის სატყეო მეურნეობებმა უნდა ჩაბარონ ორჯერ მეტი ხორცი, ბოჩეული, სხვა პროდუქცია, ვიდრე ამჟამად.

ახლა კი დავუბრუნდეთ კოლეგიის სხდომას. აქ ლაპარაკი იყო სახელმწიფო მიწების განიავებაზე. ჯ. ყოჩიაშვილმა დაარღვია პირადი დამხმარე მეურნეობების შესაქმნელად განკუთვნილი მიწის ნაკვეთების განაწილების წესი. გამოირკვა, რომ იმ ადამიანთა ნაწილს, რომლებმაც მიიღეს მიწის ნაკვეთები, არ ჰქონდა ამის უფლება, რადგან დროებით მუშაობდნენ ამ მეურნეობაში და არ მონაწილეობდნენ ტყის დაცვაში. პირადი დამხმარე მეურნეობის შესაქმნელად მიწის ნაკვეთის მიღების უფლება კი აქვთ მხოლოდ მეცხოვრებლებს, რომლებიც მივად მუშაობენ ან მოცემულ განიზაციაში და უშუალოდ დაცვას ემსახურებიან.

ამასთან დაკავშირებით ვირვებს წითელწყაროს რაიკომის პოზიციაც, რომელმა ამტკიცა ჯ. ყოჩიაშვილის ნა გადაწყვეტილება.

უპატიოსნო ადამიანებმა ვებლეს დირექტორის დო... ობითა და უმრინციპობით... იღეს მიწის ნაკვეთები ... ყეს მათი გამოყენება ... გამდიდრებისა და სპეციუ... მიზნითაც კი. მაგალითად... მოპყავდათ საზამთრო და გ... ბული ფასებით ყიდდნენ... თბილისის ბაზრებში.

ასეთი მკაცრი ზომები... იღო იმათ მიმართ, ვისაც... მიუძღოდა მიწის უკანონო... ცემაში, რესპუბლიკის... მეურნეობის სამინისტროს... ვა ხელმძღვანელობდა... დებელი პრინციპით — ... ხალხის კუთვნილებაა, ... განკარგვა შეიძლება ... კანონმდებლობის მტკიცე... მოქალაქეთა პირად მეურნე... მიწათმოქმედებისა და პრ... ტების წარმოების ზრდა მხ... ამ კანონმდებლობას უნდა ... ნებოდეს. (საქინფორმი).

„ᲞᲐᲠᲢᲘᲣᲚᲘ ᲡᲘᲢᲧᲕᲐ“ № 18

გამოვიდა საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის ეურნალის „პარტიული სიტყვის“ მიმდინარე წლის მორიგი, მეთვრამეტე ნომერი.

იგი იხსნება საქართველოს კომპარტიის ადიგენის რაიკომის პირველი მდივნის გ. ახმეტელის წერილით „სიტყვა პრაქტიკული საქმიანობით იზომება“. „არც კაცი ვარგა...“ ასეა დასათაურებული ეურნალის კორესპონდენტის ინტერვიუ ფილოსოფიის ინსტიტუტის დირექტორთან ნ. ჭავჭავაძესთან. ლაგოდეხის რაიონის რამდენიმე საზოგადოებრივ მეურნეობაში მასობრივ-პოლიტიკური მუშაობის საკითხებზეა ს... ე. შაგიულიძის მასალაში „... თქვამს არ უდალატებ“... ... რიც გრძელდება მ. ... კის პოლიტიკური რომანის ... ანი სისხლის“ ბეჭდვა.

გარდა ამისა ეურნალში ... ჭდილია მასალები: ლ. ჯიქ... „ადამიანებთან თანადგომ... იასეშვილისა — „პირველ... ტებათა მიღმა“, ა. შუშანაშ... — „დიდი მუშაობა მოგველ... სხვ.

ეურნალის ამ ნომერს ... ნყოფილებები: „ამ ტრიალ... ნაზე“, „ღიმილის კაბადონ...

პრაქტიკის დიდი გაკვეთილები

მათემატიკა, ისევე როგორც ცოდნის ყველა სხვა დარგი, ადამიანთა საწარმოო საქმიანობის საერთაშორისო დასაკმაყოფილებლად არის შექმნილი და მისი ფუნდამენტური პრობლემების წყაროს, როგორც ყოველთვის, დღესაც საწარმოო პრაქტიკა წამოადგენს. ამის აშკარა დადასტურებაა ისეთი უდიდესი მეცნიერების შემოქმედება, როგორიც იყვნენ არქიმედე, გალილეი, ნიუტონი, ეილერი, გაუსი და სხვ. სამწუხაროდ, ისეთი ახრიც არსებობს, თითქოს მათემატიკის ფუნდამენტური პრობლემების ძირითადი წყარო ამ მეცნიერების შინაგანი ლოგიკური განვითარების პროცესშია და რომ მხოლოდ მათემატიკური თეორიის სილამაზე განაპირობებს იმ პირად შინაგან კმაყოფილებას, ურომლისოდაც მათემატიკოსი ვერ იარსებებს. ძნელი არ არის დაგრწმუნდეთ ამ აზრის ცალმხრივობაში. მარტო თავისი დროის სინამდვილე როდი ჰქონია მხედველობაში ცნობილ ფიზიკოსს მაქსველს, როდესაც წერდა: „იქნება მართლაც არიან ცალკეული მეცნიერები, რომლებსაც მათემატიკური კვლევა-ძიება მხოლოდ პირადი სიამოვნების საგნად გაუხდიათ, მაგრამ ადამიანთა უდიდეს უმრავლესობას სწამს, რომ მათემატიკის ძირითადი დანიშნულებაა ემსახურებოდეს ბუნების მოვლენების საიდუმლოებათა ახსნას“. გამოჩენილი ფრანგი მათემატიკოსი ადამარი კი ორი ათეული წლის წინათ ხაზგასმით აღნიშნავდა იმ გარემოებას, რომ „გამოყენება მათემატიკური თეორიისათვის არა მარტო სასარგებლო, არამედ აუცილებელიც არის იმის გამო, რომ სწორედ გამოყენება სვამს თეორიის ნიჭიერ ახალ პრობლემებს. თეორიისა და მისი გამოყენებათა მთლიანობა ჰგავს მცენარეს, რომელიც თავს იმოსავს მასაზრდოებელი ფოთლებით. ამ მთლიანობის დარღვევის შედეგად მცენარე ხმება“.

ცოდნის ამა თუ იმ დარგში მათემატიკის გამოყენება, უპირველეს ყოვლისა, შესასწავლი მოვლენის მათემატიკურ მოდელირებას, ანუ ამ მოვლენის ამომწურავი ცნობილი და უცნობი მახასიათებლების მათემატიკურ ენაზე სავრცელო ფორმათა და როდენობრივ ურთიერთობათა გამოსახველ ტერმინებზე გადატანას ნიშნავს. ამის შემდეგ, მათემატიკის მეთოდების გამოყენებით. კვლევარი აღწევს საძიებელ მახასიათებელთა თვისებრივ და რაოდენობრივ შეცნობას, რაც ნათელს ჰფენს მოვლენის მთლიან მინაარსს. ცხოვრებამ დიდი ხანი დაადასტურა კვლევის ამ მეთოდების მნიშვნელობა ფიზიკაში, მექანიკაში, ასტრონომიაში, ტექნიკასა და გეოფიზიკაში. ჩვენი საუკუნის ოცდაათიანი წლების დასასრულამდე ამ მიმართულებით მომუშავე სპეციალისტთა განკარგულებაში არსებული გაოთვლითი ტექნიკური საშუალებები, მართალია, მხოლოდ არითმომეტრითა და ლოგარითმული სახაზავით შემოიფარგლებოდა, მაგრამ მიღებული შედეგები სიზუსტითა და საიმედოობით ყოველგვარ მოლოდინს აჭარბებდა. სამეცნიერო კვლევის ობიექტთა რაოდენობის, მათი კომპლექსურობის მკვეთრმა გადიდებამ, ორმოციანი წლებიდან მოყოლებული, მათემატიკის მეთოდების მასობრივი დანერგვის მისწრაფება გამოიწვია შემოქმედებითი შრომის თითქმის ყველა დარგში, რასაც ბუნებრივად თან მოჰყვა გამოთვლითი ტექნიკურ საშუალებათა არსებითი გაფართოება სწრაფად მოქმედი ელექტრონული გამომთვლელი მანქანების (ეგმ) სახით.

ჯერ კიდევ გასულ საუკუნეში მათემატიკის არცთუ ისე გამართლებულ პირობითს გაყოფას „წმინდა“ და „გამოყენებითის“ მათემატიკად ასეთ პირობებში დაემატა მათემატიკის პრობლემების გაყოფა „ფუნდამენტურ“ და „გამოყენებითის“ პრობლემებად. ეს თითქოს გაუგებრობას არ უნდა იწვევდეს, რამდენადაც აღებული მათემატიკური მოდელი, როგორც წესი, ბუნების სრულიად სხვადასხვა მოვლენის შესასწავლად არის გამოსადეგი და, თანაც, „ფუნდამენტური“ პრობლემების გადაწყვეტა მათემატიკური მოდელის თეორიულ შესწავლას გულისხმობს, ხოლო „გამოყენებითის მათემატიკაში“ კი ხდება მიღებული თეორიული შედეგების გამოყენება კონკრეტულად აღებული მოვლენის შესასწავლად. მათემატიკის პრობლემების ასეთნაირად დანაწილების დეკალკაციას იწვევს ის გარემოება, რომ ზშირად „ფუნდამენტურ“ დასკვნისმომენტ არცთუ ისე პრინციპული მნიშვნელობის პრობლემებს და თანაც გაუმართლებლად აუბრალოებენ „დანერგვის“ რიგულ და მეტად მნიშვნელოვან პრობლემებს. ასეთი ვითარებაში ადვილად ვრცელდება მცდარი აზრი, თითქოს ფუნდამენტური პრობლემების კვლევა შეუძლიათ მხოლოდ განსაკუთრებული მათემატიკური ნიჭით დაჯილდოებულთ, ამ პრობლემების გადაწყვეტით მიღებული შედეგების დანერგვა კი უფრო ნაკლებად ნიჭიერ მათემატიკოსთა საქმეა.

მათემატიკის ცენტრალურ ნაწილს, მეთვრამეტე საუკუნიდან დაწყებული, მათემატიკური ანალიზი შეადგენს. სწორედ მათემატიკურ ანალიზზეა დაფუძნებული თანამედროვე მათემატიკის ერთ-ერთი წამყვანი დარგი — მათემატიკური ფიზიკა, რომლის მიზანია მგრეთ წოდებული მუდმივი ბუნების კანონების შესაბამისად მატერიალურ სამყაროში მიმდინარე პროცესების მათემატიკური მოდელირება და მიღებული მოდელების შესწავლით თვით პროცესის შინაარსის ახსნა. მათემატიკის ეს ნაწილში ფუნდამენტურ პრობლემებს მიაკუთვნებენ მათემატიკური ფიზიკის განტოლებათა თეორიის საკვანძო საკითხებს.

რამდენადაც „წმინდა“ მათემატიკურ კვლევას ხშირად წინ დიდი ბოლოჯერ პრინციპული ხასიათის ძიებელ ეღობება, მეცნიერება ეფლებულია მიმართოს პრაქტიკას, ე. ი. კონკრეტულად შესასწავლ მოვლენასთან დაკავშირებულ როგორც უშუალო, ისე მათემატიკურ, ანუ რიცხვითს ექსპერიმენტს, არა მარტო როგორც სისწორის კრიტერიუმს, არამედ, როგორც თეორიულ კვლევაში კორექტივების შეტანის წყაროს. სწორედ აქ წამოიჭრება მრავალი საკითხი, რომელთა ფუნდამენტურობა ეჭვს არ შეიძლება იწვევდეს. თავისი მნიშვნელობით, სიღრმეთა და მეცნიერული სიღრმით არანაკლებ ფუნდამენტურია მიღებული მათემატიკური შედეგების წარმოებაში დანერგვის საკითხები.

საბჭოთა საქართველოში მათემატიკური კვლევა-ძიება თავიდანვე ისე წარიმართა, რომ მათემატიკური ანალიზი როგორც მეცნიერება მუდამ მაღალ დონეზე იყო. ამის შესაბამისად, ქართველმა მათემატიკოსებმა ნ. მუსხელიშვილისა და ი. ვეკუას მეთაურობით საყოველთაო აღიარება მოიპოვეს ფუნქციათა თეორიაში, ერთგანზომილებიან სინგულარულ ინტეგრალურ განტოლებებში, ელიფსურ კერძოწარმოებულებიან განტოლებებში და მათს გამოყენებებში დრეკადობის თეორიასა, გარსთა თეორიასა და ტეჭნიკაში. ქართველმა მათემატიკოსებმა ფუნდამენტურ პრობლემებს მიუძღვნეს გამოკვლევები მათემატიკის ზოგიერთ სხვა დარგშიც. შემთხვევითი როდია, რომ საქართველოში დღეს მათემატიკაში მეცნიერული კვლევა-ძიება წარმოებს რამდენიმე სამეცნიერო დაწესებულებაში, კერძოდ, ა. რაზმაძის სახელობის მათემატიკის ინსტიტუტში, ნ. მუსხელიშვილის სახელობის გამოთვლითს ცენტრში და ი. ვეკუას სახელობის გამოყენებითი მათემატიკის ინსტიტუტში. არსებობს ყველა პირობა იმისა, რომ ქართველ მათემატიკოსთა მეცნიერული პოტენციალი მომავალში მათი კიდევ უფრო მეტი შემოქმედებითი წარმატებების გარანტიად იქცეს.

დღეს მეცნიერულ-ტექნიკური რევოლუციითა გამოწვეულმა დიდმა ეკონომიკურმა და სოციალურმა ძვრებმა აუცილებელი გახადა მეცნიერების ყველა დარგში ახალ მეცნიერულ მიმართულებათა შექმნა და ფუნდამენტური პრობლემების გამსჯავიანება და გართულება. ასეთ ვითარებაში გადამწყვეტი მნიშვნელობა ენიჭება კოლექტივიზმის პრინციპის სრულყოფას, კოლექტივის ყოველი წევრის პირადი პასუხისმგებლობის განმტკიცებას, მიკერძოების, შურისა და კარიერიზმის საბოლოოდ განდევნას სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტების პრაქტიკიდან. ყველაფერი უნდა გავაკეთოთ იმისათვის, რომ საბჭოთა მეცნიერთა რიგებს განუწყვეტლივ ემატებოდნენ ნიჭიერი ახალგაზრდები.

მეცნიერული კვლევა-ძიება შრომის ერთ-ერთი რთული და მეტად მძიმე ფორმაა. საბედნიეროდ, არცთუ ისე მცირერიცხოვანნი არიან ისინი, ვისაც დიდ სულიერ კმაყოფილებას ანიჭებს მეცნიერული შრომა და გარდა ამისა, აქვთ უნარი და შემართება, რათა თავიანთი შემოქმედების ნაყოფი პროგრესის სამსახურში ჩაიყენონ. შრომის ამ ფორმის გაადვილებაში უდავოდ გადამწყვეტ როლს შეასრულებენ თანამედროვე ელექტრონული გამომთვლელი მანქანები და მათი მომავალი თაობები. მაგრამ ამ მიმართულებით გადადგმული ნაბიჯები ჯერ-ჯერობით უმნიშვნელოა, ხოლო ჩვენს რესპუბლიკაში მდგომარეობა კიდევ უფრო უარესია.

შესაძლოა, სამამულო წარმოების ზოგიერთი ელექტრონული გამომთვლელი მანქანა თავისი მოქმედების სისწრაფით და სხვა მაჩვენებლებით ჯერ-ჯერობით ჩამორჩება ანალოგიური დანიშნულების საზღვარგარეთულ მანქანას, მაგრამ, რაც გვაქვს, იმისი მათემატიკური უზრუნველყოფის დონე რომ დაბალი არ იყოს, მდგომარეობას საგრძნობლად გაიუმჯობესებდით. ამ საქმეში, მათემატიკოსებთან ერთად, დიდი პასუხისმგებლობა ეკისრებათ მეცნიერებისა და წარმოების ბევრი სხვა დარგის ხელმძღვანელებსა და მუშაკებს, რომლებმაც ჯერ კიდევ ვერ შეძლეს სათანადო ჩვევების, უფრო მართებული იქნებოდა გვთქვა, სიახლეთა თვისების, კულტურის გამომშვიეტა იმ დროს, როდესაც ძვირადღირებული გამომთვლელი მანქანების (საზღვარგარეთულისაც კი) შეძენის ტენდენცია მოდად არის გადაქცეული.

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ი. ვეკუას სახელობის გამოყენებითი მათემატიკის ინსტიტუტის ელექტრონული გამომთვლელი მანქანის პარკი ოთხი მანქანისაგან შედგება. მას მალე მეხუთე მანქანაც შეემატება. ინსტიტუტის ეს ქვეგანყოფილება ნამდვილი გამოთვლითი სწორმოკომბინატია, რომელიც ასზე მეტ მეცნიერს, ინჟინერს, ტექნიკოსსა და შუა-მოსამსახურეს ერთიანებს და თავისი პერსონალური შემადგენლობით მთელი კოლექტივის მესამეულ შეადგენს. რესპუბლიკის პარტიული და საბჭოთა ხელმძღვანელობის, განსაკუთრებით სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტიბიუროს წევრის კანდიდატის, საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივნის ამხ. ე. შევარდნაძის უდმივი მზრუნველობის მეოხებით ინსტიტუტის მდგომარეობა მკვეთრად გაუმჯობესდა. კერძოდ, რამდენიმეჯერ გაიზარდა ელექტრონული გამომთვლელი მანქანების გამოყენების შესაძლებლობა შორ მანძილზე სხვადასხვა დაწესებულებაში მოთავსებული ვიდეოტონების (ტერმინალების) მათთან მიერთებით. მნიშვნელოვანი გამოთვლითი სამუშაოები და რიცხვითი ექსპერიმენტები ხორციელდება ამ მანქანებზე როგორც რესპუბლიკური, ისე საკავშირო დაწესებულებების შეკვეთით.

თვით დასახელებაში „გამოყენებითი მათემატიკის ინსტიტუტი“ თავიდანვე ნავარაუდევია როგორც ინსტიტუტში, ისე მის გარეთ მათემატიკაში მიღებული თეორიული შედეგების და დამუშავებული მეთოდების გამოყენება თუ დანერგვა მეცნიერებასა და წარმოებაში. ინსტიტუტთან ბევრმა საკავშირო და რესპუბლიკურმა დაწესებულებამ დაამყარა მეცნიერული მეგობრობა, ჩვენი მიღწევები მნიშვნელოვნად გაიზრდებოდა, რომ ზოგიერთი უწყება და დაწესებულება უფრო მეტი ინტერესით შეხვედროდა ინსტიტუტის ინიციატივას. კარგი იქნებოდა ამ საქმეში მისაბაძად ქცეულიყო გაზიფიკაციის რესპუბლიკური სახელმწიფო კომიტეტის სასარგებლო პრაქტიკა. ძნელი დასაჯერებელია, რომ ყოველმხრივ ხელსაყრელი არ იყოს უფრო მეტი ორგანული კავშირი ჩვენს ინსტიტუტსა და იმ საუწყებო დაწესებულებებს შორის, რომლებიც ქმნიან და ახორციელებენ დიდი მასშტაბის პროექტებს რესპუბლიკაში. მელიორაციის, ენერგეტიკის, ეკოლოგიის, მართვის ავტომატიზებული სისტემების, მსხვილ საწარმოო ობიექტთა მშენებლობის პრობლემების ამოხსნაში ინსტიტუტთა მონაწილეობის ფორმები ერთ-ერთი მიზეზი იმისა, რომ შეიძჩნევა ახალგაზრდობის ინტერესების შენელება ზუსტი მეცნიერებისადმი! ზოგადსაგანმანათლებლო სკოლას უნდოდება გააღვივოს მოსწავლეებში არამცთუ მეცნიერებისადმი, არამედ, საერთოდ, ამა თუ იმ სპეციალობისადმი შეგნებული ინტერესი. ამიტომაა, რომ საშუალო სკოლა-დამთავრებულთა უმრავლესობის გადაწყვეტილება — რა საეციალობით გააგრძელოს სწავლა უმაღლეს სკოლაში, ხშირად მშობლებისა და ნათესავების ახირებულ „ჩეკი-დარიგებით“ განისაზღვრება. უმაღლეს სკოლებშიაც არა გვაქვს უკეთესი მდგომარეობა. მკვეთრ გაუჯობესებას საჭიროებს სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტებისა და უმაღლესი სასწავლებლების ურთიერთობა.

მხარდაჭერის ღირსია ზოგიერთი უმაღლესი სასწავლებლისა და სამეცნიერო დაწესებულების ინიციატივა — ყურადღებით მოეპყრან სტუდენტთა საწარმოო პრაქტიკას და უფროსი კურსის ნიჭიერ სტუდენტებს სამტატო განრიგის დაურღვევლად მიაყენონონ მონაწილეობა სამეცნიერო-კვლევითი თემების გეგმით გათვალისწინებული თემების შესრულებაში. ასეთ პირობებში უნარიან ახალგაზრდებს ექნებათ შესაძლებლობა უკეთ აირჩიონ შემოქმედების ასპარეზი, უფრო ადრე გავიდნენ მეცნიერების ყამირზე, ჩაებან სისტემატურ, შეუპოვარ, ღრმად გააზრებულ შრომითს საქმიანობაში. მეცნიერულ ატმოსფეროში წრთობაგამვლილი ახალგაზრდობა შემდგომ, ბუნებრივია, შინაგანი კმაყოფილებით ასრულებს თავის წმინდა მოვალეობას სამშობლოს წინაშე, მიღებული წარმატებები კი ალფრთოვანებს მას, სილამაზეს და ლაზათს მატებს მის ცხოვრებას.

სამწუხაროდ, ახალგაზრდა მეცნიერის მუდმივ შტატში ჩარიცხვა საკმარისად დიდ დაბრკოლებას აწყდება იმის გამო, რომ სამეცნიერო-კვლევითის ინსტიტუტებს ოშვიათად თუ მოეძებნებიათ ვაკანტური თანამდებობები, თანაც შტატების გაუთავებელ ზრდას, გარდა იმისა, რომ ეს ფინანსურ სიძნელეებთან არის დაკავშირებული, თვით ინსტიტუტის მეცნიერული მართვის თვალსაზრისითაც შეიძლება მოპყვეს გართულებები. იქ, სადაც სამეცნიერო დაწესებულებების ხელმძღვანელები და სამეცნიერო საბჭოები პასუხისმგებლობით ეკიდებიან მეცნიერული შრომის ხარისხის ამაღლებას და ობიექტურად ატარებენ კადრების ატესტაციას, ყოველთვის არსებობს ვაკანტური შტატი ერთეულების გამოჩენის შესაძლებლობა, ხოლო კონკურსის რიგიანად ორგანიზება უზრუნველყოფს ახალგაზრდა ნიჭიერ მეცნიერთა კადრებით დაწესებულების განახლებას.

ამასთან ერთად აღბათ უფრო თამამად უნდა გამოვიყენოთ ახალგაზრდა სპეციალისტთა განაწილების „დესანტური პრინციპი“, ე. ი. მეცნიერების მოსაზღვრე დარგთა ახალგაზრდა ნიჭიერი სპეციალისტების მთელი ჯგუფების სათანადო საუწყებო ლაბორატორიებში გაერთიანება ისე, რომ მათ მეცნიერულ ხელმძღვანელობას უწევდნენ სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტები, ხოლო მუშაობის გეგმები უწყებათა საწარმოო პრაქტიკის საჭიროებას უპასუხებდეს, აზრიგად, ახალგაზრდა მეცნიერები თავიდანვე მეისისხლხორცებენ მეცნიერებისა და პრაქტიკის მთლიანობას, ურომლისოდაც მეცნიერულ-ტექნიკური რევოლუცია წარმოუდგენელია.

მეცნიერების ტრადიციული დაყოფა საბუნებისმეტყველო, ტექნიკურ და საზოგადოებრივ დარგებად მათი კვლევის ობიექტთა სხვაობამ განაპირობა. იყო დრო, როდესაც მეცნიერებათა ამ დარგების ერთმანეთისაგან დამაშორებელი — ცენტრიდანული ძალები სჭარბობდნენ ერთმანეთთან დამაკავშირებელ-ცენტრიმისწრაფ ძალებს. ახლა კი, მეცნიერებისა და წარმოების ინტეგრაციის ეპოქაში, ცენტრიმისწრაფ ძალთა გავლენა სულ უფრო და უფრო კოლოსალური ხდება. ეს გარემება სრულიადაც არ ხსნის დღის წესრიგიდან მეცნიერების პარტიულობის საკითხს სოციალისტური და კაპიტალისტური სისტემების თანაარსებობის პირობებში.

მეცნიერულ-ტექნიკური რევოლუციის ეპოქა ხასიათდება კაპიტალისტურ და სოციალისტურ სისტემათა შორის მეტოქეობის გამწვავებით. სწორედ ამის გამო არ შეიძლება დავუშვდეთ სახელმწიფოს, სამართლის, ძალაუფლების, თავისუფლების, დემოკრატიის, მორალის და სხვა ცნებათა პარტიულობის სამართლიანობაში. ამ მხრივ მდგომარეობა, ერთი შეხედვით, თითქოს განსხვავებული მოგვეჩვენება, როცა ლაპარაკია საბუნებისმეტყველო, ტექნიკურ მეცნიერებებზე, კერძოდ, მათემატიკაზე. მათემატიკური ცნებები, ოპერაციები და თეორემები, ისევე როგორც მათემატიკური დამტკიცებები, არ არის ალობრივი ხასიათის მატარებელი. ბუნებრივია, რომ ამის გამო მათემატიკის საგაწმი, მის მეთოდებში პარტიულობა არ შეიმჩნევა. იგივე შეიძლება ითქვას ფიზიკაზე, მექანიკაზე, ქიმიასა და ბუნებისმეტყველების ყველა სხვა დარგზე. მაგრამ სრულიად საწინააღმდეგო სურათი დაგვეხატება, თუ ღრმად გავაანალიზებთ მეცნიერების ამ დარგების მონაპოვართა ადგილს და როლს საწარმოო პრაქტიკაში, საზოგადოებრივ ცხოვრებაში, მათს ფილოსოფიურ არსს.

შეუძლებელია ერთნაირი იყოს გაბატონებულ და ჩაგრულ კლასთა განწყობილება საბუნებისმეტყველო, ტექნიკურ, მათემატიკურ მეცნიერებათა მიღწევებისადმი, როცა ლაპარაკია მათს მნიშვნელობაზე სახელმწიფოს ძლიერების განმტკიცების, განსაკუთრებით კი მისი სამხედრო შეიარაღების სრულყოფაში. საკმარისია გავიხსენოთ საბჭოთა ხალხის დიდი სამამული ომის მომდევნო წლებში ატომური შანტაჟი, ქიმიური, ნეიტრონული იარაღით აღჭურვილი მილიტარიზმის მუქარა სოციალისტური სისტემის მიმართ, მილიტარიზმისა, რომლის უგუნურობის აუოაგმეორობას მოპყვეს სიცოცხლის მოსპობა ჩვენს პლანეტაზე. სწორედ მეცნიერების პარტიულობა იჩენს თავს მაშინაც, როცა საერთაშორისო მეცნიერულ ფორუმებზე იმპერიალიზმის დაქირავებული აგენტები და მათთან დაკავშირებული ზოგიერთი მეცნიერი ცდილობენ მსოფლიო მეცნიერული აზრის დეზინფორმაციას და ცილს სწამებენ საბჭოთა სინამდვილეს. ეჭვი არ შეიძლება შეგვეპაროს მეცნიერების პარტიულობაში, როცა აშკარად მოჩანს კონტრასტები ტექნიკურად მოწინავე კაპიტალისტური ქვეყნების ხალხთა ცხოვრებაში, როცა ისინი, ვინც მეცნიერებისა და ტექნიკის დონე ფანტასტიკურ სიმაღლეზე აიყვანა, საბოლოოდ იკონომიკურად უმწეო, მორალურად დადაბალებულ მდგომარეობაში ვარდებიან, ზოგს კი პროგრესული იდეები სიცოცხლის ფასად უჯდება. ამის ნათელი დადასტურებაა ამერიკის შეერთებულ შტატებში ატომური იარაღის ათვისების პრიალის ხელმძღვანელის ოპენჰეიმერის თანამდებობიდან გადაყენება და გასამართლება, ცოლ-ქმარ როზენბერგების ელექტრონულ სკამზე სიკვდილით დასჯა. საფრანგეთში ატომურ კვლევათა სახელმწიფო კომისრის ფრედერიკ ჟოლიო-კიურის თანამდებობიდან გადაყენება, ენრიკო ფერმის, ალენ ჟოლიო-კიურის, ნილს ბორის, ჯონ ბერნალის და სხვა სახელგანთქმულ ფიზიკოსთა სამეცნიერო მივლინებებისადმი კონტროლის დაწესება კაპიტალისტური ქვეყნების სადაზვერვო ორგანოების მხრივ და ა. შ. სამწუხაროდ, ყველაფერი ეს მარტო ისტორია როდია! ცხოვრება არ გვაპატიებს, თუ ასეთ პირობებში უგულველეყოფთ პარტიულობის პრინციპს, გამოვიჩენთ აპოლიტიკურობას და წინ არ აღვუდგებით სოციალიზმის გაფორებულ მოწინააღმდეგეთა ცდას — ბურუჟაზიულ, რევიზიონისტულ შეხედულებათა ქსელში გაახვიონ მსოფლიოს ხალხები. საბჭოთა მეცნიერება, დარწმუნებულნი ამაში, რომ იდეოლოგიური ბრძოლის ფრონტი დღეისათვის მოიცავს მთელ სულიერ ცხოვრებას, ყველაფერს აკეთებენ ამ ბრძოლაში გამარჯვებისათვის.

ა. ბიწაძე,

სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტი, საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ნამდვილი წევრი, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ი. ვეკუას სახელობის გამოყენებითი მათემატიკის ინსტიტუტის დირექტორი.

მათემატიკა თანამედროვე მეცნიერებასა და ცხოვრებაში

ფაქტები • მოვლენები • კომენტარი

საკდესისა და ახალი ამბების სააგენტოს კორესპონდენტები გვაცნობებენ

30 სექტემბერი

გამოცხადდა პარლამენტის ვადამდელი არჩევნები

ბრიუსელი. აქ გამოცხადდა პარლამენტის ვადამდელი არჩევნების მოწყობის თარიღი — მომდინარე წლის 8 ნოემბერი. ამგვარად ჩაიფუშა ბოლო კაბინეტის პრემიერ-მინისტრის მოადგილის ვ. კლასის ცდები, შეექმნა ახალი მთავრობა. მისი თქმით, ქვეყანაში ამჟამად შექმნილი ვითარება შეუძლებელს ხდის ამის გაკეთებას პარლამენტის დაუთხოვნელად.

ბელგიის პარლამენტის წინა არჩევნები 1978 წლის დეკემბერში გაიმართა, და მას შემდეგ ქვეყანაში მთავრობის 6 კაბინეტი შეიცვალა. განვლილ კვირას გადადგა ნ. ეისკენსის კოალიციური მთავრობა, რომელშიც პოსტების უმრავლესობა ეკავათ სოციალისტიური პარტიის (ფრანკოფონები), სოციალისტური პარტიის (ფლამანდიელები) და სოციალურ-ქრისტიანული პარტიის წარმომადგენლებს.

მშვიდობისათვის ბრძოლის ავანგარდში

მთელ ჩვენს პლანეტაზე ფართო რეზონანსი გამოიწვია საბჭოთა კავშირის ახალმა სამშვიდობო ინიციატივამ. გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალური ასამბლეის XXXVI სესიის განსახილველად მან წარმოადგინა პროექტი დეკლარაციისა „თავიდან ავიცილოთ ბირთვული კატასტროფა“.

ბერლინი. ეს საბჭოთა წინადადება, ისევე როგორც სსრ კავშირის სხვა სამშვიდობო ინიციატივები, წერს გერმანიის ერთიანი სოციალისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის ორგანო გაზეთი „ნოიეს დოიჩლანდი“, ნაკარნახევია იმ კონკრეტულ ღონისძიებათა დაუყოვნებლივ განხორციელების საჭიროებით, რომელთა მიზანია თავიდან აცილება ბირთვული ომისა, რომელიც კატასტროფულ შედეგებს მოუტანდა კაცობრიობას.

ახლანდელ ვითარებაში, როცა იმპერიალისტურმა წრეებმა მკვეთრად გააძლიერეს გამაღეებული შეიარაღება, დეკლარაციის მიღებას უდიდესი მნიშვნელობა აქვს, წერს გაზეთი. საბჭოთა კავშირი გვინვენებს რთული საერთაშორისო მდგომარეობიდან გამოსვლის გზებს, დაძაბულობის შენელების პროცესის, ხალხთა საერთაშორისო თანამშრომლობის განმტკიცების გზებს.

ნიუ-იორკი. „სსრ კავშირის ახალმა წინადადებამ ერთხელ კიდევ დაუმტკიცა მთელ მსოფლიოს, რომ საბჭოთა კავშირი შვიდობისათვის ბრძოლის ავანგარდშია“, — განაცხადა ამერიკული „ურნალის „ნიუ იორლდ რევიუს“ მთავარმა რედაქტორმა მ. ბეჭოელმა. ეს წინადადება, თქვა მან, ლოგიკურად გამომდინარეობს საბჭოთა კავშირის მშვიდობისმოყვარული საგარეო პოლიტიკიდან, რომელსაც საფუძველი დიდმა ლენინმა ჩაუყარა.

მ. ბეჭოელმა აღნიშნა საბჭოთა წინადადების განსაკუთრებული აქტუალურობა და დროულობა და თქვა, რომ მშვიდობისა და ომის საკითხები მთელ კაცობრიობას აღელვებს, რადგან შეერთებული შტატების მიზეზით, რომელმაც უპრეცედენტო გამალებული შეიარაღება გამალა, ბირთვული კონფრონტაციის საფრთხე უფრო რეალური გახდა.

სან-ფრანცისკო. თვალსაჩინო ამერიკელმა ისტორიკოსმა და საზოგადო მოღვაწემ გ. აპტეკერმა ფრიად დროული, კაცობრიობის არსებობისადმი საფრთხის ლიკვიდაციისათვის ზრუნვით ნაკარნახევი უწოდა საბჭოთა კავშირის წინადადებას იმის შესახებ, რომ გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალურმა ასამბლეამ მიიღოს დეკლარაცია ბირთვულ კატასტროფის თავიდან აცილების შესახებ.

ეს ინიციატივა სსრ კავშირის კიდევ ერთი დიდი წვლილია უპირველესი მნიშვნელობის საქმეში — ბირთვული მოსპობის საშიშროებისაგან კაცობრობის ხსნის საქმეში, განაცხადა მან. საბჭოთა კავშირი მტკიცედ და მიზანსწრაფულად მეთაურობს ბრძოლას უგუნური ბირთვული ომის თავიდან აცილებისათვის, ახალი ინიციატივა შეესაბამება მთელი კაცობრობის საერთო მისწრაფებებს, და მას პოზიტიური პასუხი უნდა გაეცეს.

ბრაიტონი. უდიდეს მოწონებასა და მხარდაჭერას იმსახურებს საბჭოთა წინადადება, რომ გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალურმა ასამბლეამ მიიღოს დეკლარაცია ბირთვული კატასტროფის თავიდან აცილების შესახებ, განაცხადა ინგლისის პარლამენტის წევრმა ლეიბორისტმა ს. ნიუენსმა.

ასეთი დეკლარაციის მიღება, თქვა მან, განსაკუთრებით საჭიროა ახლა, როცა ამერიკის შეერთებული შტატები და ნატოს რეაქციული წრეები დაადგნენ გამალებული შეიარაღების ზრდის, ბირთველი ომისათვის მზადების კურსს. „დარწმუნებული ვარ, რომ ასეთ ომში არ იქნება გამარჯვებული. მისი შედეგი საშინელი კატასტროფა იქნება კაცობრობისათვის“.

ადის-აბება. მაღალ შეფასებას აძლევს საბჭოთა კავშირის ახალ საშვიდობო ინიციატივას გაზეთი „ეთიოპიენ ჰერალდი“. იგი, კერძოდ, წერს, რომ დეკლარაციის საბჭოთა პროექტი იმათი სასტიკი გაფრთხილებაა, ვინც წინდაუხედავად ეთამაშება ახალი მსოფლიო ომის ცეცხლს.

გაზეთი აღნიშნავს, რომ ასეთი დეკლარაციის მიღება საშუალებას გვაძლევს ჯეროვანი შეფასება მივცეთ პენტაგონსა და ნატოს სამხედრო შტაბებში მოკალთებულ ეგრეთ წოდებული „პირველი ბირთვული დარტყმის დოქტრინების“ ავტორებს. ახალი ომის საფრთხის თავიდან აცილება და საერთაშორისო უშიშროების განმტკიცება ყველა სახელმწიფოს წმიდათაწმიდა ვალია კაცობრიობის წინაშე, აცხადებს გაზეთი.

ირლანდია:

საპროტესტო დემონსტრაცია

დუბლინში გაიმართა მასობრივი საპროტესტო დემონსტრაცია ოლსტერში ბრიტანეთის მთავრობის რეპრესიების წინააღმდეგ. მისმა მონაწილეებმა გულისწყრომით დაგმეს ბრიტანეთის იმპერიალიზმის დანაშაულობანი ჩრდილოეთ ირლანდიაში, მოითხოვეს, რომ სტატუსი მიანიჭონ ლონგ კეშის საკონცენტრაციო ბანაკის პოლიტიკურ პატიმრებს.

სურათზე: დემონსტრაციის მონაწილენი ირლანდიის დედაქალაქის ქუჩებში.

ვ. ტროიცკის ფოტო (საკდესის ფოტოქრონიკა).

ბ. ქარმალის ინტერვიუ

რომი. ავღანეთის წინააღმდეგ მიმდინარეობს გამოუცხადებელი ომი, რომელსაც შეერთებული შტატები აჩაღებს ჩინეთისა და არაბული აღმოსავლეთის სახელმწიფოების — ეგვიპტისა და საუდის არაბეთის მბარდაჭერით, განაცხადა იტალიის ყოველკვირეულ „პანორამისათვის“ მიცემულ ინტერვიუში ავღანეთის სახალხო-დემოკრატიული პარტიის ცენტრალური კომიტეტის გენერალურმა მდივანმა, ავღანეთის დემოკრატიული რესპუბლიკის რევოლუციური საბჭოს თავმჯდომარემ ბაბრაქ ქარმალმა. განდიტები 10-20-კაციან ჯგუფებად შემოდიან ქვეყნის ტერიტორიაზე ტერორისტული აქციების მოსაწყობად. რეაქციული სახელმწიფოების დაუხმარებლად ავღანელი ბანდიტები რამდენიმე თვისაც კი ვერ იარსებებდნენ.

ჩვენ, თქვა შემდეგ ბაბრაქ ქარმალმა, გვინდა არსებული პრობლემების დიპლომატიური გზით მოწესრიგება და ამიტომ მოვუწოდეთ პაკისტანსა და ირანს შემოსხდომოდნენ მოლაპარაკების მაგიდას, დავთანხმდით გაერთიანებული ერების ორგანიზაციის შუამავლობაა. მაგრამ პასუხი არ მიგვიღია. ეს კი ნიშნავს, რომ იმპერიალიზმი, ჩინეთის ჰეგემონიზმი და ყველა მათი მოკავშირე განაგრძობენ მხარდაჭერას კონტრრევოლუციური ბანდებისადმი. დაე ყველასათვის ნათელი იყოს: ავღანელი ხალხის თხოვნით, ორ ქვეყანას შორის დადებული ხელშეკრულების საფუძველზე, აგრეთვე გაერთიანებული ერების ორგანიზაციის წესდების ზუსტად ჩამოყალიბებული 51-ე პუნქტის ბაზაზე, ავღანეთში მყოფი საბჭოთა ჯარების შეზღუდული კონტინგენტი ჩვენ ტერიტორიის მხოლოდ მაშინ დატოვებს, როცა შეწყდება ყოველგვარი ჩარევა ჩვენი ქვეყნის საქმეებში.

ავღანეთის ხელმძღვანელმა ხაზგასმით აღნიშნა, რომ იგი ილაშქრებს ყოველგვარი მოლაპარაკების წინააღმდეგ, რომელიც საეჭვოს ხდის ახლადდელ წყობილებას ავღანეთში. რევოლუცია მე კი არა, ხალხმა მოაწყო, თქვა ბაბრაქ ქარმალმა. არავის არა აქვს უფლება ერეოდეს ავღანეთის საშინაო საქმეებში. ავღანელმა ხალხმა, განაცხადა მან, უარყო კარინტეხის გეგმა, რადგანაც იგი მიზნად ისახავდა ეგრეთ წოდებული „ავღანური საკითხის“ ინტერნაციონალიზაციას.

ქვეყანაში ახალი საზოგადოების მშენებლობის პერსპექტივებს რომ შეეხო, მან განაცხადა: ახლა დემოკრატიული რევოლუციის ეტაპზე ვართ. უნდა დავამყა

მარად სასურველი სტუმარი

ᲤᲘᲥᲠᲔᲑᲘ ᲒᲐᲡᲢᲠᲝᲚᲔᲑᲘᲡ ᲨᲔᲛᲓᲔᲒ

ᲛᲪᲘᲠᲔ ᲗᲔᲐᲢᲠᲘ ᲗᲑᲘᲚᲘᲡᲨᲘ

ГОСУДАРСТВЕННЫЙ АКАДЕМИЧЕСКИЙ ОРДЕНА ЛЕНИНА И ОРДЕНА ОКТЯБРЬСКОЙ РЕВОЛЮЦИИ
МАЛЫЙ ТЕАТР СССР

მცირე თეატრის გასტროლების ერთ თვეს გასტანა. მცირე თეატრის გასტროლმა საქართველოს დედაქალაქში. შეიძლება ითქვას, რომ ჩვენთან ბოლო წლებში არც ერთი თეატრის სტუმრობა არ გაგრძელებულა ამდენ ხანს და არც ერთ მათგანს არ ჩამოუტანია ასეთი დიდი, მრავალფეროვანი რეპერტუარი.

ტრიბუნელი მაყურებელი უყურადღებით ადევნებდა თვალს გასტროლის მსვლელობას. მას გამუდმებით ეხმაურებოდნენ რესპუბლიკური პრესა, რადიო, ტელევიზია. მოეწყო სახელგანქმული კოლექტივის შეხვედრები თბილისის, რუსთავის, კახეთის რაიონების მშრომელებთან, ახალგაზრდობასთან. საქართველოს თეატრალურ ინსტიტუტში გაიმართა ორი უმაღლესი სასწავლებლის — მცირე თეატრთან არსებული შჩეპკინის სახელობის ინსტიტუტისა და ჩვენი ინსტიტუტის პროფესორ-მასწავლებელთა მეთოდიკური სემინარი. მოსკოველმა კოლეგებმა ჩვენს ინსტიტუტში ჩაატარეს აგრეთვე მეცადინეობა სამსახიობო და სარეჟისორო ფაკულტეტებზე, ხოლო შჩეპკინელი სტუდენტები, რომლებიც მონაწილეობდნენ საგასტროლო სპექტაკლებში, ჩვენს სტუდენტებთან ერთად ესწრებოდნენ ლექციებს.

ყოველივე ეს კვლავ და კვლავ მოგვაგონებდა ქართული და რუსული თეატრების დიდი ხნის ურთიერთ მეგობრობას, ორი კულტურის სულიერ ნათესაობას, იმას, რომ მცირე თეატრი ყოველთვის სასურველი სტუმარია საქართველოსი.

და აი, გასტროლი დასრულდა. უკვე შეიძლება მისი შედეგების შეჯამება. საგასტროლო რეპერტუარში წარმოდგენილი 14 დასახელების პიესა, ცხადია, არ მოიცავს მცირე თეატრის დღევანდელი რეპერტუარის სრულ ხუთეულს, მაგრამ ის, რაც წარმოდგენილი იყო გასტროლების დროს, ცხადყოფს თეატრის დღევანდელ მისწრაფებებს, მის პოზიციასა და პრინციპებს....

წინამდებარე სტატია თითხმეტსავე სპექტაკლზე შექმნილი რეცენზიების ჯამი როდია. იგი არც შეინიშნება თითოეულ მათგანზე. მასში სუბარი იქნება არა იმდენად ცალკეულ წვრილმანებზე, კერძო საკითხებზე, რამდენადაც საერთო, ზოგადი ხასიათის პრობლემებზე, რომლებიც შეეხება მცირე თეატრის რეპერტუარს, რეჟისურას, სამსახიობო ხელოვნებას. ერთი სიტყვით ყველაფერს, რაც კი ქმნის რუსეთის ამ უძველესი თეატრის მხატვრული სახის არსს და განაპირობებს მის გზას მომავლისაკენ, ანდა პირიქით, ზოგჯერ ამუხრუჭებს მის წინსვლას...

მცირე თეატრს თავისი, განსაკუთრებული ადგილი უკავია ჩვენი ქვეყნისა და დედაქალაქის თეატრებს შორის. იგი ორ საუკუნოვანი თეატრია. მთელი მისი მრავალწლიანი შემოქმედებითი გზა დასტურია დაუღალავი ძიებისა, თვალსაჩინო და მშვენიერი გამარჯვებებისა, თეატრმა საუკუნის განმავლობაში განიმტკიცა კულტურული მემკვიდრეობის დამცველის სატატო მისია.

ერთი თვის განმავლობაში თბილისელმა მაყურებელმა ნახა თეატრალური ხელოვნების წესების თვალსაზრისით უზადოდ დდგმული სპექტაკლები. მათში მცირე თეატრის ამოუწურავი აქტიორული შესაძლებლობებია, ისმის ფილიგრანული რუსული მეტყველება და ჩინებულად დაყენებული აქტიორთა ხმები, აგებულ ლია ნამდვილად გამძლე, ნარისხიანი დეკორაციები, შეკერილია ასეთივე კოსტიუმები, მოწესრიგებულია თეატრალური ტექნიკა, ყველაფერი დაცულია მკაცრად, ცხოვრებისეული დამჯერებლობით, უტყუარად, ისე როგორც შეჰფერის აკადემიურ თეატრს.

„შჩეპკინის სახლი“, „ოსტროვსკის სახლი“ — ამაყად და საპატიოდ ჟღერს. ამ „სახლის“ რეალისტური ტრადიციები დღესაც ცოცხალია, ისინი ხორციშესხმულია თეატრის სადადგმო-სამსახიობო შესრულების კულტურაში, ისეთი მსახიობების ხელოვნებაში, როგორიც არიან მ.